645
1959

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 5 მაისი 1959 წ.



გამარჯვების დღე სასახლის მოედანზე (ლენინგრადი)
მხატვარი ს. მ. იუდოვინი



მსოფლიოს პროგრესულ ხალხთა სოლიდარობის ნათელი დღესასწაული—პირველი მაისი, მისი დადგენიდან ამ სამოცდაათი წლის მანძილზე ყველაზე ღირსშესანიშნავ პერიოდში აღინიშნება წელს. იგი კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის—შვიდწლიანი გეგმის პირველი გაზაფხულია, პირველი იმ შვიდი გაზაფხულიდან, ასე რომ აახლოებს ქვეყანას დიდი ხნის ნაოცნებარ დღესთან.

სულ რაღაც თვეები გავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებიდან და ახლა ჩვენს ხალხს კეკლუცი გაზაფხულის სილამაზესთან ერთად ახარებს და ატკბობს ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოზღვავებულ გამარჯვებათა ახალ-ახალი ამბები. ეს გამარჯვებები სიცოცხლის ხალისსა და ბრძოლის ენერგიას მატებს მსოფლიოს მშრომელებს, რომლებიც იმედის თვალით შეჰყურებენ საბჭოთა კავშირს.

საერთაშორისო სოლიდარობის უძლეველი ძალით შედუღაბებული, კიდევ უფრო მტკიცედ დარაზმული გამოვიდა წელს, პირველ მაისს, მილიონობით ადამიანი მსოფლიოს ყველა ქალაქისა და სოფლის ქუჩებში, საბრძოლო ლოზუნგებით:

კიდევ უფრო განვამტკიცოთ მთელი ქვეყნის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მოქმედების ერთიანობა.

ყველა ქვეყნის მშრომელნო! გააძლიერეთ ბრძოლა მშვიდობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად, ხალხთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად.

მსოფლიოს მუშათა კლასმა კარგად იცის, რომ გამარჯვების საწინდარი მხოლოდ და მხოლოდ მის ერთიანობაში, მის ორგანიზებულობაშია. ახლა მუშათა მოძრაობა ეყრდნობა რეალურ ძალას, რომელიც ყოველდღიურად იზრდება და მტკიცდება, ეს ძალა სოციალისტური ქვეყნებია, სადაც მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს ახლებურად, განთავისუფლებული შრომის პირობებში და სასწაულებს ახდენს.

ყველა სხვა ქვეყნის ადამიანებისათვის ახლა არა არის რა უფრო მნიშვნელოვანი და უფრო დიდი ფაქტორი, ვიდრე სოციალიზმის გამარჯვება მსოფლიოს ერთ მესამედ ნაწილში. სწორედ ამ ძალებზე დაყრდნობით, პირველად თავის ისტორიაში კაცობრიობას შეუძლია არ დაუშვას ომი. მაგრამ ამავე დროს მან ისიც იცის, რომ მშვიდობა თავისთავად არ მოვა, იგი ბრძოლით უნდა მოიპოვოს, და იბრძვიან ადამიანები, ამჭიდროებენ თავიანთ ძალებს უფრო, ვიდრე ოდესმე. პირველი მაისის დღესასწაული ამ ძალების დათვალიერების დღედ იქცა.

მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის მხარდამხარ იბრძვიან მსოფლიოს ქალები.

ქალებს, დედებს, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან თავიანთი შვილების ბედს, არ შეუძლიათ შეურიგდნენ ომებს, მათ მხოლოდ მშვენიერებითა და ბედნიერებით სავსე მომავალი სურთ ბავშვებისათვის, მყუდროება ოჯახებისათვის. ამ კეთილშობილური მისწრაფების განხორციელება კი მხოლოდ მშვიდობის პირობებში შეიძლება. ამიტომაა, რომ ჯერ არასოდეს ყოფილა ქალთა პოლიტიკური შეგნება ისე მაღალი, არასოდეს ჰქონია ქალებს საკუთარი ძალებისადმი ისეთი მტკიცე რწმენა, როგორც ახლა, მას შემდეგ რაც მათ საკუთარი თვალით ნახეს მეორე მსოფლიო ომის დროს მილიონობით ბავშვთა და ქალთა, მამათა და ძმათა, მეგობართა ტანჯვაწამების შემაძრწუნებელი სურათები.

ამიტომაა, რომ წელს სწორედ სამაისო ზეიმის დღეებში, საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის—ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისათვის, ბურგარტ დიუბუას, ოტო ბუხვიცის, კოსტას ვარლანისისა და აივორ მოტეგიუსათვის «ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის» საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ.

მშვიდობა, ძმობა, მოქმედების ერთიანობა—აი რისთვის იბრძვიან პროგრესიული ადამიანები დღეს ყველა ქვეყანაში



# უთქმელი სათქმელი

**თამარ ჩხაიძე**

მოთხრობა

იმ ფურცელს, მთვარეც მისჩერებოდა, ვაჟკაცი რომ კალამს უმიზნებდა, უახლოებდა და აშორებდა. თითქოს კალამი კი არა, სასიკვდილოდ შემართული ისარი ყოფილიყო.

გაბედა ბოლოს, დაიწყო:

«დედი! მე თქვენ გატყუებდით გიორგი ცოცხალიაო...»

და დამწკრივდნენ ხაზებზე ანბნები ჯარისკაცებივით და მოჰყვნენ ამბავს ჯარისკაცისას:

*

«ეს გამარჯვების სალუტი გახლდათ, განა გრუხუნი ომის? და აუწყებდა რადიო ქვეყნიერებას მშვიდობას!

იცით რა არის ომის დამთავრება? ქარიშხალის შემდეგ მზიანი დილა, მილოცვები, ხვევნა, კოცნა, ნაომართა შინისაკენ მისწრაფება, სახიჩართა გულის კრთომა, ოჯახს თუ ვერა ვარგო რაო...

ეს გამარჯვების სალუტი გახლდათ, განა გრუხუნი ომის? ცათ მნათობნი ციმციმებდნენ, მაშხალებიც ითებოდნენ ნაირფერ ყვავილებად, მე კი ისევ იმ შავბნელ ღამეზე ვფიქრობდი, გიორგი რომ წამართვა.

*

ღამე იყო უმთვარო და უვარსკვლავო. ცაში დაძრწოდნენ მესსერშმიდტები—სვასტიკიანი ბომბდამშენები.

სადღაც ფაშისტი ლესავდა დანას, რომ უკეთ ამოეკვეთა ვარსკვლავი ტყვედ ჩაგდებულის ცოცხალ სხეულზე. სადღაც ფეხმძიმე ქალს ატარებენ ელვარე ნაკვერჩხლებზე. სადღაც მარხავენ კაციშვილს ცოცხლად. იღვრება სისხლი, ინგრევა ჭერი, ცვივიან თვალთაგან ცრემლები. გარეთ სუფევდა ღამე შავბნელი, თითქოს ძაძები გაუშლიათო ომში დაღუპულთა დედებს, დებს, მეუღლეებს.

«გიორგის დედას კი არ გაუჭრია შავები» ამაზე ვფიქრობ სანგარში გიორგის მეგობარი.

იცით რა არის სამშობლოს დაცვა? გოჯა მიწისათვის თავის გაწირვა.

და გიორგიც დარჩა ძმათა საფლავში. და თქვენ მიიღეთ მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის ამბავი. მე დავკარგე ის სამუდამოდ. იცით რა არის ომის ქარცეცხლში დაძმობილება? ერთი ლუკმის ორად გაყოფა ორთა გულის ერთად ცემა, ორთა ერთად სუნთქვა, შურისძიება ერთისა მეორეს სიკვდილისათვის.

და მე ვიძიე შური.

*

შორს დარჩა დუნაის ნაპირი, გაშლილ მუხის ქვეშ ძმათა საფლავი. მე კი მშობელ მიწაზე მოვაბიჯებდი, მშობლიური ცა თავს დამნათოდა.

ეს გიორგის სოფელი იყო, გიორგის მთები, გიორგის წყლები, გიორგის სიყრმის აკვანი.

გზაშარას მოვყვები, ორღობეს მოვყვები. მხვდებიან სოფლები, ყველა თავს მიკრავს, ყველას თავს ვუკრავ. არც კი ვპასუხობ ვისთან მივდივარ. მე თვითონ უნდა მოგაგნოთ, თვითონ უნდა გიცნოთ.

და აჰა, ჩითის მანდილიანი წნულ ღობესთან დგახართ.

— შვილო, ომიდან ბრუნდები?— მკითხეთ შეკრთომით.

— დიახ, გიორგის მეგობარი ვარ!—გითხარით, რადგან გიორგის ჰგავდით.

— ჩემი გიორგი, ჩემი შვილი!—თქვით საოცარი სინაზით და თვალები მომაპყარით. ო, რამდენი მწუხარება, რამდენი იმედიც იყო თქვენ გამოხედვაში და მე ვიცრუე—დაბრუნდებაო.

*

ოთახში ორნი ვსახშმობდით, თქვენ და მე. ვსვამდით გიორგის დაბრუნების, გიორგის დაოჯახების.

იასამნებით მოხატულ ოთახშიც შემიყვანეთ. საქორწინოდ რომ მოგერთოთ გიორგისათვის. ორი საწოლი იდგა აქ გვერდი-გვერდთ, გედებივით ქათქათები. პირბადესავით ჩამოფენოდა ფანჯრებს ფარდები, ფარდებს იქით კი ველები მოჩანდნენ, კოლმეურნეთა ველები.

— აი, იქ იყო გიორგის ნაკვეთი,—მანიშნეთ სადღაც შორს, შორს. და მე ვფიქრობდი: აქაც ბრძოლის ველია, გეგმებისათვის, მოსავლისათვის.

*

რა იქნებოდა მე გავეგმირე გიორგის ნაცვლად ტყვიას? ვისაც არვინ ჰყავს, ვინ დაუღონდეს?—ამას ვფიქრობდი ქალაქს ჩასული და ბოლთას ვცემდი ოთახში. მძიმე ყოფილა სამძიმრის თქმა...

მოდი, მივწერო სათქმელი, გადავწყვიტე. მაგრამ ბარათშიაც ვიცრუე. განა მთლიანად? მართალი იყო, გიორგიმ მთხოვა თუ ცოცხალი დარჩი, დედაჩემი ინახულეო. არც კი ეწერა მეორე თხოვნა:—წამებით მომკლან, მაინც უთხარი ჭრილობა მსუბუქი ჰქონდაო, სიკვდილი უეცარი.

მხოლოდ გიორგის დაღუპვის ამბავი იმალებოდა სტრიქონებს შორის, ხნულებს რომ მაგონებდნენ. მიწა უყვარდა გიორგის, მე იმ მიწის ხილვა მინდოდა გიორგი რომ ეძიდებოდა და ისევ თქვენ გინახულეთ.

გზად ველის ყვავილები დაგიკრიფეთ.

გაგეხარდათ: გიორგიც ხან იას, ხან ყაყაჩოს, ხან გვირილას მომიტანდა ყანიდანო,—თქვით.

და მე დამრჩმდა ყვავილების კრეფა თქვენთვის. ბარათებსაც გიგზავნიდით, ხანდახან ფულსაც. სათქმელი კი უთქმელი მრჩებოდა.

და თქვენ ელოდით გიორგის. თვეობით, წლობით, ხან ტყვეობიდან ხან საიდუმლო მივლინებიდან, როგორც გეტყოდათ გული.

ჭაღარა გემატებოდათ. მხრებში იხრებოდით. მუხლები გისუსტდებოდათ. თქვენ კი ელოდით, ელოდით.

*

იმ დღეს მე შეშას ვაპობდი. თქვენ წნულ ღობესთან იდექით:

შორით შევნიშნავ შვილს შინ მომავალს:—ამბობდა თქვენი არსება

— სახლში შემოდით. მუხლი დაასვენეთ.—გითხარით.

— ხომ არაფერი გინდა მითხრაო,—მკითხეს შიშით თქვენმა თვალებმა. მაგრამ მე არაფერი ვთქვი, არც მაშინ, არც შემდეგ.

თქვენს მახლობლად ვიყავი. უთქვენოდ ველარ ვძლებდი, ჩემი გულის ზეიმი იყო ყოველი კვირადღე, შვებულება, ხომ ბედნიერება.

გეხმარებოდით კარმიდამოში: ვენახს ვსხლავდი, ვენახს ვრწყავდი, გიორგის ნაკვეთზე ვშრომობდი.

საღამოობით ვიჯექით ჩუმად, ვფიქრობდით გიორგიზე.

ერთხელ ასეთს საღამოს უცებ მითხარით: გიორგის შვილს ვახუშტის დავარქმევო.

მეც უცებ მოგახსენეთ ცოლის შერთვას ვაპირებო.

— განა არ გამჩნევ? გიორგიც ასე ინაბებოდა, ტრფობა რომ ჰქონდა გულში,—თქვით სიცილით, მომეხვიეთ და მითხარით:—ქორწილს აქ გადაგიხდიო.

და მე პირველად ამომხდა გულიდან ყველაზე ტკბილი სიტყვა — დედა!

*

ქორწილი იყო, მოლხენა, მაყრების მოძახილი.

ქორწილის შემდეგ კი გიორგის ოთახი მიგვიჩინეთ მე და ნინოს.

ასე მეგონა გიორგი გვესროდა იასამნებს მოხატული კედლებიდან: იხარეთ, იმრავლეთ, იბედნიერეთო!

წლის თავზე ვაჟი გაგვიჩნდა, ჩვენი ვახუშტი, ყველაზე ლამაზნახატებიან კამფეტებს თქვენ რომ გინახავთ—ესენი ჩემს ბებიკოსაო.

რა დიდი ხანი გავიდა სანამ გაუწყეთ—ნულარ მოელით მოუსვლელს. მაპატიეთ, დედი, სიცრუე».

*

ვაჟკაცმა ბარათი დაკეცა, კონვერტში ჩადო, მისამართი დააწერა და ფიქრით წნულ ღობემდე მიჰყვა. შემოდგომის ფოთოლივით უთრთოდა მოხუცს ბარათი თითებში. საყვედურს ამბობდნენ მჭკნარი ტუჩები—იმედიანი სიცრუე მერჩია უიმედო სიმართლესო. თუ ხილვა გვქონდა, გვეხილა შვილი, ჩვენი ჩინი,—თქვეს თვალებმა და საუკუნოდ ჩაქრნენ.

ვაჟკაცი შეკრთა, ბარათს დაწვდა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია...

*

თენდებოდა დილა მშვიდობისა.



# მთიელთა რძალი

ვენერა სიხარულიძემ ბავშვობის წლები გურიაში გაატარა. მერე თბილისში ჩამოვიდა, უნივერსიტეტი დაამთავრა. ეკონომისტი გახდა. გათხოვდა და მთაში გაჰყვა ქმარს, ბალებისხევში. აქ შეეძინა ერთადერთი ვაჟი, პარტიაშიც აქ შევიდა. შეიყვარეს თანასოფლელებმა თავიანთი რძალი.

1957 წლის ზამთარი იყო. თოვლს დაეფარა საკოლმეურნეო სოფლები. ერწოს ველზე შლეგი ქარი დათარეშობდა.

ბალებისხეველები კოლმეურნეობის კანტორაში წლიურ ანგარიშს ამტკიცებდნენ. კამათობდნენ. გული გასტეხოდათ კოლმეურნეებს—თავმჯდომარე ვერ გამოგვადგაო. თავმჯდომარე ისეთი გვინდა, ჩვენი რომ ესმოდეს, სატკივარსაც მიგვიხვდეს და სიხარულსაცო.

აკი, ასეთიც გამოსძებნეს,—მერე რა რომ ქალიაო,—თავმჯდომარედ ვენერა აირჩიეს.

უარი ვერ შებედა, იმედოვნებდა, მთიელთა ადათ-წესებს 10 წელია ვიცნობ და ხალხს შევეწყობიო.

შეეწყო. რაც მთავარია, იმან უშველა, რომ ხალხი ამოუდგა მხარში. პირველსავე წელმა გაახარა სოფელი, ბარაქით აივსო ოჯახები.

ასე იყო შემდეგ წელსაც, მთის პირობებში, ურწყავ ადგილზე 27,2 ცენტნერი მარცვლეული მოვიდა. მაშინ ისახელეს თავი უხვი მოსავლის ოსტატებმა მარიამ წიკლაურმა, ვერა სიმონიშვილმა, საშა წიკლაურმა, ირინე აფციაურმა...

ბალებისხეველები კოლმეურნეობის კანტორაში ახლაც იკრიბებიან.

წინ შვიდწლედი აქვთ, რომლისგანაც ბევრს მოელიან: ელექტროსადგურს, წყალსადენს, სახერხ ქარხანას, ახალ ქუჩებს და სახლებს, ახალ კლუბს.

ამას ყველაფერს თვით გააკეთებენ კოლმეურნეები. საკუთარი მარჯვენის და თავმჯდომარის უნარიანი ხელმძღვანელობის იმედი აქვთ. სოფლის თვალიაო, ამბობენ თავმჯდომარეზე. აკი, ამიტომაც მიიღეს გასულ წელს საშუალოდ 13,5 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი, 11,2 ცენტნერი გაზაფხულის ქერი, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.333 კილოგრამი რძე და პარტიის თიანეთის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ორი გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრეს კოლმეურნეობა «წითელი ვარსკვლავის» წევრებმა.

**ი. ბეჟანიშვილი,** თიანეთი.



# დიდება თქვენდა!

ზის სავარძელში ჭაღარა ქალი, თავდახრილი და მხრებდაშვებული, ჰყვება მძიმედ, პაუზებით. ეტყობა უჭირს. საოცრად მეტყველია მხოლოდ მისი ხელების მოძრაობა, უხერხული და ნერვიული: ღირს კი ჩემზე ლაპარაკიო?

როცა მოსაუბრე თავს მაღლა სწევს, მზერას ყოველთვის ერთ ადგილს აპყრობს, მაშინ მის შუქიან თვალებში უსაშველოდ დიდი სევდა იელვებს, სადღაც სიღრმეში რომ იყო აქამდე მიმალული... კედლიდან გრუზათმიანი ვაჟკაცი იცქირება, მიმზიდველი ღიმილით დამშვენებული.

... ჰყვება და, შუქი და ჩრდილი, სიხარული და მწუხარება ენაცვლებიან ერთმანეთს. შედარებით იოლი მოსჩანს ადრეული ბავშვობა, ის წლები, როცა გონებას არ ამძიმებს მოჯარებული აზრები და სულს დიდი განცდები, როცა ვარდისფერი გეჩვენება ქვეყნიერება.

მარტივია მისი ბიოგრაფიის პირველი ფურცლები: სწავლა სამტრედიის რკინიგზის ორკლასიან სასწავლებელში და ფოთის ოთხკლასიან სკოლაში...

იზრდება და უჩნდება ახალი ინტერესები, ებადება ახალი აზრები და მისწრაფებანი, ვარდისფერს ერევა ქუფრი ფერები:..

* * *

რუსეთის ცაზე ოქტომბერმა გადაიქუხა, ქვეყნიერებას მოედო მისი გუგუნი, ზოგს მოსვენება დაუკარგა, ბევრს ფრთები შეასხა... პეტროგრადი, რევოლუცია, ლენინი, ბოლშევიკები—პირზე აკერია ყველას.

«მოაღწევს თუ არა ჩვენამდე მისი შუქი?—ასე ფიქრობდა იმ დღეებში სამტრედიელი მეისრის კალისტრატე რუხაძის უფროსი ქალიშვილი შუშანა და ყურადღებით უსმენდა მათთან საღამოობით თავშეყრილ ნაცნობ-მეგობრებს, რევოლუციაზე, მუშაკაცის ბედსა და მომავალზე რომ მსჯელობდნენ გაცხარებით. არჩევანს აკეთებს ამ მსჯელობასა და კამათში ქალიშვილი, მწიფდება მისი შეგნება და აი, 1918 წელს შუშანა, ანუ შურა, როგორც მას შინაურობაში ეძახიან, ბოლშევიკური პარტიის რიგებში შედის.

იმ წელს მეორე ღირსშესანიშნავი ამბავიც ხდება მის ცხოვრებაში—თხოვდება, ცოლ-ქმრობის უღელში ებმება ნებით თუ უნებლიეთ.

იწყება ხიფათით სავსე ცხოვრება: დღეს რომ სამტრედიაში ფარულ კრებას ესწრება, ხვალ ჯიხაიშში მიდის, კავშირს ამყარებს იქაურ პარტიულ ორგანიზაციასთან, ზეგ მოხსენებით გამოდის. მართალია, მოხსენება არ გამოირჩევა აკადემიურობითა და ორატორული ხელოვნებით, სამაგიეროდ უბრალოებითა და სიმართლით იკვლევს გზას მსმენელთა გულამდე.



... ფრთხილობდნენ, მაგრამ მაინც მიაგნეს ორგანიზაციის კვალს, დააპატიმრეს ამხანაგები. დაპატიმრების საფრთხე ემუქრება შურასაც, დღედღეზე რომ მოელის პირმშოს. დროებით უნდა მიეფაროს, და ქალი მიდის ნაესაკოვში—ქმრის სოფელში.

«ხელებს გულზე ვერ დავიკრეფ, სახლში ვერ ჩავიკეტები»—სწყვეტს შურა და ახერხებს მასწავლებლად მოწყობას დაწყებით სკოლაში. სოფლის მოწინავე ადამიანებთან ურთიერთობა, ახალგაზრდებში ტრიალი ისევ ავსებს მის ცხოვრებას შინაარსით.

მოახლოებულმა კატასტროფამ დააფრთხო მენშევიკები, უბირო ხალხის თვალისასახვევად ათასგვარ ჭორებს ჩმახავენ ბოლშევიკებზე. და თუ ბევრი არ წამოეგო ამ ანკესს, ეს შურასა და მისი მეგობრების მუშაობის მეოხებითაც იყო.

* * *

აი, საქართველოშიც შემოანათა ოქტომბერმა. შურა სამტრედიაში დაბრუნდა, მასწავლებლობს, ქალთა სადელეგატო კრებას ხელმძღვანელობს... ემსახურება პარტიას, უვლის უკვე ორ შვილს, ასწავლის სხვებს და სწავლობს თვითონაც—გამოცდას აბარებს სიმწიფის ატესტატზე...

შვილებით თბილისში გადმოსული, ისევ ნორჩებთანაა—საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობს. საღამოს, პატარა მყუდრო ოთახში ელექტროშუქი რომ აინთება, ორი მოწაფე მიუჯდება მაგიდას—შვილი, მესამეკლასელი, დედა, პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. სიჩუმეს არღვევს მხოლოდ პატარა ლეილას ნაზი ფშვინვა, თავქვეშ ხელამოდებულს რომ ძინავს თავის საწოლში. მორჩებიან მეცადინეობას და ხუტა-ბიჭი საწოლს მიაშურებს, დედა ლექციის კონსპექტის შედგენას იწყებს, სტალინის რაიონის ერთერთ საწარმოში რომ უნდა წაიკითხოს ხვალ... უბრალო და უპრეტენზიო, თვალში რომ არავის ეჩხირება, . გზას იკაფავს საოცარი ნებისყოფითა და შრომისმოყვარეობით.

... პარტია მრავალფეროვან ღონისძიებებს ახორციელებს კოლმეურნეობათა განსამტკიცებლად, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან იქმნება პოლიტგანყოფილებანი. საჭიროა ადამიანები, რომლებსაც მასებში მუშაობის გამოცდილება აქვთ...

«არ იდარდო, დედიკო, ჩვენ არაფერი გაგვიჭირდება. მე ხომ უკვე დიდი ვარ! ლეილასაც მივხედავ და თავსაც...»—კითხულობდა ხუტას წერილებს წნორის მტს-ის პოლიტგანყოფილებაში სამუშაოდ გაგზავნილი შურა და თვალებში ედგა დიდი შუქი, უქრობი შუქი დედობრივი სიყვარულისა. ეს შუქი თან დევდა ყველგან და იქნებ, ამიტომაც უფრო ესმოდათ მისი კოლმეურნე ქალებს. მაინც ძნელი იყო მუშაობა, ღამე მინდვრად უთევია, თივის ზვინში უძინია, კოლმეურნეობაში ფიზიკურად უმუშავნია, მეტი ძალა რომ მისცემოდა მის სიტყვას. ერთხელ, კოლმეურნეობიდან დაბრუნებულს, გზაც დაებნა და მზესუმზირას ყანაში გაათია.

თბილისში მობრუნებული, ისევ სახალხო განათლების ფრონტზე მუშაობს: სტალინის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორია, განყოფილების გამგე, განათლების სახალხო კომისარიატის ინსპექტორი...

დიდი განსაცდელი და უბედურება ადამიანის სასინჯი ქვაა. რამდენი დაბნეულა ცხოვრების ორომტრიალში, ასცდენია გზას, რამდენი სამუდამოდ გაუტეხია მწუხარებას და განსაცდელს, შურა, ჩვენი დიადი პარტიის ერთი რიგითი ჯარისკაცი, როდი იყო ამ ყალიბისა.—რამდენი უბედურება გადაუტანია, მაგრამ თავგზა არასოდეს დაუკარგავს.

* * *

— აი, ხომ ხედავ, დედიკო, მივდივარ. აბა რას გავდა ეს? ბიჭები ყველა ფრონტზეა, ტყვიას უშვერენ გულს, მე აქ ქუჩებს ვტკეპნიდი. განა ჯაბანი ვარ, სხვამ რომ იბრძოლოს ჩემს წილადაც? მოვუგრეხთ კისერს დუშმანს და მერე სწავლასაც მოვასწრებ და სეირნობასაც.—ეუბნებოდა ხუტა 1941 წლის შემოდგომაზე დედას, გაოცებული რომ შეჰყურებდა შვილს—

თითქოს გუშინ იყო ზურგზე ჩანთამოკიდებული რომ დაბაკუნობდა სკოლაში. დღეს როგორ დავაჟკაცებულა ხუტა-ბიჭი, ბოდიში, ხუტა კი არა, ვახტანგ ვლადიმერის ძე, ულვაშები აშლია, ბეჭებში ლაღად გაშლილა, ეშმაკური ღიმილი გასჩენია თვალებში, ვარსკვლავივით რომ უციმციმებს ყოველთვის. როგორ უხდება ეს მოლისფერი გიმნასტურა, ანდა როგორ დადის, თითქოს სამხედრო წრთობის დიდი სკოლა გაევლოს, ნამდვილად კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტია...

... თვალს აყოლებს დედა მოელვარე ბორბლებს, ჩრდილოეთისკენ რომ მიაქროლებს სამშობლოს დამცველი ვაჟკაცებით დატვირთულ ეშელონს, და მათ ხმაურში საბედისწერო სიტყვები ესმის თითქოს: «მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!» «მშვიდობით!»—უკანასკნელად გაიელვებს შვილის ბრინჯაოსფერ ხელში აფრიალებული თეთრი ცხვირსახოციც და დედა კვლავ ბორბლების ხმაურს მიუგდებს ყურს: «მშვიდობით? არა!» ცივმა ლითონმაც დაზოგაო თითქოს მშობლის გული და ააწყო: «ნახვამდის, ნახვამდის, ნახვამდის!»

შემდეგ? შემდეგ ლოდინი სამკუთხა ბარათებისა, ძალას რომ მატებდა დედას—უკეთესად ემუშავნა ზურგში, უზადოდ გაძღოლოდა კოოპერაციულ ტექნიკუმს, რომლის დირექტორად 1941 წლის დამდეგს დანიშნეს.

«პირველ დღეებში ტყიამფრქვევების კაკანი, ქვემეხთა გუგუნი, ყუმბარების გრიალი შემაკრთობდნენ ხოლმე,—კითხულობდა შურა შვილის წერილებს ვოლხოვის ფრონტზე რომ იბრძოდა მაშინ და ალყაშემორტყმულ ლენინგრადს მდგომარეობას უმსუბუქებდა,—ახლა საბჭოთა იარაღის გრიალი ყურს მუსიკად ჩაესმის. ვიცი—ყოველ ტყვიას, ყოველ ყუმბარას მტრის ბანაკში სიკვდილი და განადგურება მიაქვს. მიყვარს სიცოცხლე, მაგრამ ათასიც რომ მქონდეს, ყველას გავწირავ ჩვენი გამარჯვებისათვის. ხომ ასეთი გამზარდე, ჩემო დედიკო?»

«ეს-ეს არის ჩვენმა ნაწილმა გაანთავისუფლა ფერფლად ქცეული უკრაინული ქალაქი ხოროლი,—კითხულობდა უფრო გვიან, ახლა უკვე უკრაინის ფრონტიდან მიღებულ ბარათს,—ერთ სოფელში შევიჭერით. ღმერთო ჩემო, რა შემაძრწუნებელი სურათი ვნახეთ ერთ სახლში მე და ჩემმა მეგობარმა! არამზადა ფაშისტს ავტომატით ჩაეკლა ჩვილი აკვანში, იატაკზე სისხლის ტბა იდგა. ხედავ, როგორები არიან, ძვირფასო დედიკო, ფაშისტები? ჩვენ უნდა გავჟლიტოთ ყველანი, ბავშვებმა რომ იცოცხლონ...»

და ებრძოდა თავგამოდებით დუშმანს ფრონტზე საბჭოთა ოფიცერი ვახტანგ ჩიქოვანი, თავდადებით შრომობდა ზურგში დედა, სიამაყის გრძნობით რომ უვსებდა გულს შვილის ყოველი ვაჟკაცური შემართება.

... პატარა სოფელ ვოდიანიკთან, ჩერკასის ოლქში რომ მდებარეობს, 1944 წლის მარტში სასიკვდილოდ დაიჭრა ქართველი ვაჟკაცი, ყუმბარის ნამსხვრევებით დაფლეთილს, ერთხელაც არ დაუკვნესია, ისე ჩაუქრა მოციმციმე თვალები, მოკვდა, როგორც ჭეშმარიტი გმირი.

სოფლის შუაგულში, მცირე ბექობზე, ვაშლის ხის ქვეშ გაუთხარეს საფლავი მეგობრებმა ქართველ ძმადნაფიცს—გვარდიის კაპიტანს ვახტანგ ჩიქოვანს, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება რომ მიენიჭა სიკვდილის შემდეგ.

დედა? არსებობს კია ადამიანი, ვისაც შესწევს უნარი გადმოსცეს შვილის დამკარგავი დედის მწუხარება? ან და ვის გაუზომავს სიღრმე დედის გულისა, უნუგეშო მწუხარების დროსაც, რომ პოულობს ძალას დარჩენილებს მიხედოს, არ დაივიწყოს მოვალეობა. აღარა ჰყავს შუშანას ხუტა, მისი სიხარული და თვალისჩინი, მაგრამ ხომ დარჩნენ



სხვები, ხომ დარჩა საქმე, რასაც თავი შესწირა მისმა შვილმა, მილიონობით სხვა დედის შვილებმა? და შუშანა საქმეში პოვებდა შვებას. საქმეში შესცქეროდა ქალიშვილს, დარდმა არ დამიჩაგროსო.

ოთხი წლის შემდეგ ინახულა შუშანამ შვილის საფლავი. დედის წმინდა ცრემლებით დაალბო იგი. ვოდიანკელებით გარშემორტყმულს, ამხნევებდა მათი გულწრფელი თანაგრძნობა...

სათუთად ინახავს, უკრაინელი ხალხი ქართველი დედის მიერ აღზრდილი გმირის ხსოვნას. გასული წლის დეკემბერში, ფაშისტ დამპყრობთაგან ჩერკასის განთავისუფლების თხუთმეტი წლის თავზე, იმ სახლს, თხუთმეტი წლის წინათ ფაშისტებს თავდაცვის პუნქტად რომ ჰქონდათ გადაქცეული, მემორიალური დაფა მიაკრეს წარწერით: «1943 წლის დეკემბერში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ქალაქ ჩერკასის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ამ სახლის იერიშის დროს სიმამაცე გამოიჩინა ქართველი ხალხის შვილმა ვახტანგ ვლადიმერის ძე ჩიქოვანმა.»

ვოდიანკელებს, საკუთარი შვილის საფლავივით რომ უვლიან ქართველი გმირის საფლავს, მიმოწერა აქვთ შუშანასთან. იწერებიან პიონერებიც: «ჩვენ, ყველა უსაზღვრო მადლობელი ვართ ასეთი მამაცი შვილის აღმზრდელი დედისა. გვინდა მეტი ვიცოდეთ ვახტანგის ცხოვრების, განსაკუთრებით მისი ბავშვობის შესახებ. მოგვწერეთ, პატივცემულო შუშანა კალისტრატეს ასულო, იქნებ, მისი ფოტოსურათიც გამოგვიგზავნოთ... ახლა ჩვენთან გაზაფხულია... ჩვენ ყვავილები მივიტანეთ თქვენი შვილის საფლავზე...»

ვოდიანიკელი პატარა მეგობრებიც იღებენ წერილებს და საჩუქრებს ვახტანგ ჩიქოვანის დედისაგან.

* * *

თვრამეტი წელი ხელმძღვანელობდა შუშანა რუხაძე თბილისის კოოპერაციულ ტექნიკუმს. თვრამეტ წელს ზრდიდა ვაჭრობის მუშაკთა ახალგაზრდა კადრებს. ამ ოთხი თვის წინათ კი პატივისცემით გააცილეს კოლეგებმა პენსიაზე გადასული ამაგდარი მუშაკი.

«არა, გულზე ხელებს ვერ დავიკრეფ! უსაქმოდ ვერ დავდგები! ჯერ კიდევ შემწევს ძალა ქვეყანას რაიმე ვარგო!»—ფიქრობს საღამოობით, შვილიშვილების ნახვის შემდეგ, შინ დაბრუნებული შუშანა და თითქოს მისგან მოელის გამხნევებასო, ახედავს შვილის ხატებას, მის მყუდრო ბინას რომ ამუქებს და ჩაუქრობელ კანდელივით ანთია დედის გულში.

**მირცა კალანდაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იბადება ჟურნალი









ხუთი მაისი. ბეჭდვითი სიტყვის დღე. გაზეთები, ჟურნალები ათასობით... წერილები პრესაზე, პრესის მუშაკებზე...

იკვანძებიან ფიქრები ადამიანებზე, ვინც ყოველ დღე, ყოველ გვერდს, ყოველ ნომერს ჩვენი ჟურნალისას სიყვარულით აწყობს, კრავს, ბეჭდავს... და მაინც «უჩინარი» რჩება თქვენთვის...

* * *

საბწკრეში ჩაჯდა კიდევ ერთი ლითონის ასო. ქალიშვილმა მიიხედ-მოიხედა. ოციოდე ქალ-ვაჟი შრიფტების სალაროებთან თავდახრილი ასო-ასო კინძავს სიტყვებს. შორს ცის ლურჯი ნაგლეჯი და მთაწმინდა მოჩანს. ღია ფანჯრებში გაზაფხული იხედება. «ფიროსმანი» ამოიკითხა ქალიშვილმა. «ფიროსმანი» გაიმეორა თავისთვის. ფაცა-ფუცით განაგრძო სიტყვების აწყობა. გრძელი თითები სალაროს ოცდაცამეტ განყოფილებაში შეუცდომლად პოულობენ საჭირო ასოებს. სწრაფად იზრდება ანაწყობის სვეტი. უკანასკნელი სამი წერტილი და ქალიშვილი გაყუჩდა. ხელები ჩამოყარა. ალბათ დაენანა მხატვარი... მერმე სხვა ხელთნაწერს დასწვდა და ისევ ასოების კენკვა დაიწყეს მისმა თითებმა.

ასეა მთელი დღე, ასეა ყოველდღე. არ იქანცება. არ ბეზრდება...

პირველად არც მიიღეს,—სუსტი ხარ, ვერ შესძლებო...

— სცდებითო,—ჯიუტობდა ფერგამკრთალი ქ ლიშვილი...

დაუჯერეს, მიიღეს.

თითქოს გუშინ იყო სალაროსთან პირველად რომ დადგა, შრიფტს ხელი შეახო და სიტყვა ააწყო... ხუთი წელი კი გასულა. ახლა რუსუდანი ჩვენს ჟურნალს კიდეც აწყობს და კიდეც გვერდებად კრავს. მკითხველებმა არ იციან როგორ უყვარს რუსუდანს მის მიერ ანაწყობი წერილები, ნარკვევები, მოთხრობები... ფიქრობს მათ შესახებ, რა თქმა უნდა, არავინ იცის ეს... ბეჯითი და შრომისმოყვარე რუსუდან გურგენაშვილი რაიონული საბჭოს დეპუტატად რომ აირჩიეს, ზოგიერთმა ესეც არ იცის...

აგერ, შავკულულებიანი ქალიშვილი, ხშირად რომ და ფიქრდება, რუსუდანის მოწაფე ქეთევან ოქროპირიძეა. უნივერსიტეტი და ჟურნალისტიკა ქცეულა ქეთუნას ოცნების საგნად. ჩემს მიერ დაწერილ წერილებს თვითონვე ავაწყობ შემდეგო,—ხანდახან გაუელვებს ქეთუნას...

ლამარა ზურაბიშვილს, რუსუდანის მეორე მოწაფეს, პოლიგრაფია ჩავარდნია გულში... მისი ფიქრები პოლიტექნიკური ინსტიტუტისკენ მიიმართებიან.

სალაროებზე ჩვენი ჟურნალის ხელთნაწერები დევს. ღია ფანჯრებში გაზაფხული იხედება. ქალიშვილების ლამაზი ოცნებები ეგებებიან გაზაფხულს

* * *

ერთი სართულით მაღლა, განაპირა ოთახში ჩვენი ჟურნალის ფოტოსურათებსა და ნახატებს დინჯად ათვალიერებენ რეტუშორები: თენგიზ წივწივაძე, გურამ კუპრაშვილი, თენგიზ ლობჟანიძე.

რიმა ალექსანდროვას ხელში ფუნჯი უჭირავს. სადღაც ხაზს ავლებს, სადღაც წერტილს სვამს, აკვირდება, ათვალიერებს. მერმე ოთახში სინათლე ქრება. ზუზუნებენ აპარატები. ნიკო კასრაძეს ფოტოფირზე გადააქვს სურათები, წარწერები, ნახატები. აქვეა აწყობილი, ჩასწორებული, ჩასუფთავებული გვერდები.



* * *

ნელა მოძრაობს ფარგალი ფირზე. შუშის ზედაპირიანი მაგიდა ქვემოდანაა ელექტროშუქით განათებული. მზიას მთელი ყურადღება ახლა ფირზეა. ერთი შეცდომა და... შეიძლება ყველაფერი აირიოს. ზუსტად, მისთვის განკუთვნილ ადგილას უნდა მოთავსდეს თვითეული, პატარა ხაზიც კი... ზომავს, ჭრის და აწებებს მზია სათაურებს, წერილებს, ავტორების გვარს... აქ სურათს, იქ ნახატს... წინ ჩვენი ჟურნალის გამზადებული მაკეტი უდევს.

მზია სულიაშვილი არც ისე დიდიხანია ამ ფორმადამამზადებელ საამქროში მუშაობს. დაუზარელმა გოგონამ კარგად შეითვისა ჟურნალის დამონტაჟება და ახლა გულმოდგინედ ჭრის, ზომავს, აწებებს ჩვენი ჟურნალის გვერდებს, ნახატებს, ფოტოსურათებს...

იქვე მახლობლად ჩამწკრივებულ კოლბებთან ნელი მახარაძე ფუსფუსებს. იგი თუთიის ფირფიტაზე ჩვენი ჟურნალის გადასატანად საჭირო ქიმიურ ხსნარებს ამზადებს. დიდი კვადრატული ფირფიტა ირეცხება, იწმინდება, იფარება ამ ხსნარებით. ზედ ეკვრის მზიას მიერ დამონტაჟებული ფირი. თუთიის ფირფიტაზე გადააქვთ ფირის ანაბეჭდი, შემდეგ ვილი ანისონოვი ფრთხილად დებს მას საშრობ კარადაში; ერთი ნახევარი საათი და ფირფიტაზე ამბეჭდილ ნახატებს, ტექსტებსა და ფოტოებს ვილი კიდევ ერთხელ ფუნჯით ასწორებს









საბეჭდი საამქროს უზარმაზარი დარბაზი... გრუხუნებენ მანქანები. შრიალებენ ქაღალდის ფურცლები. მიდი-მოდიან მბეჭდავები. მოაგორებენ ქაღალდის უზარმაზარ გრაგნილებს.

ჩვენი ჟურნალის გვერდებიან თუთიის ფირფიტას ოფსეტის მანქანის საბეჭდ ლილზე ამაგრებს ოსტატი ივანე სმირნოვი. მისი თანაშემწე მარია მარგუნოვა თავის ადგილზეა. წუთი და მანქანა იწყებს გრუხუნს, ფირფიტა ტრიალს, გამზადებული ფურცლები მიიწევიან წინ, ეკვრიან ფირფიტით დაწნეხილ რეზინის ფორმას, ბრუნდებიან უკან ზედ ჩვენი ჟურნალის ანაბეჭდით.

კვლავ გრუხუნებს მანქანა, სწრაფად ტრიალებს ფირფიტა, ცვივა და ცვივა ფურცლები ათასი, ხუთიათასი, ათიათასი, ოცდახუთიათასი...

* * *

ტკაცუნობენ საჭრელი მანქანები საამკინძაო საამქროში. აქ იჭრება გვერდებად ანაბეჭდიანი ფურცლები. ქალიშვილთა მთელი ჯგუფი ნელინელ კეცავს და კინძავს ჩვენი ჟურნალის ანაბეჭდ ფურცლებს, გარეკანში სვამს და ფუთავს...

აი, ჟურნალის მთელი ტირაჟი, ოცდახუთიათასი ეგზემპლარი მზად არის; მიდის თავის მკითხველებთან.

მრავალათასიანი ქართველი მკითხველი შლის, ფურცლავს, ათვალიერებს, კითხულობს. იმახსოვრებს წერილების, ნარკვევების, მოთხრობების ავტორთა გვარებს. ეცნობა მხატვრებს, ფოტორეპორტიორებს... მაგრამ არც რუსიკოს, არც მზიას, არც ვილის გვარი მათ ჯერ ჩვენს ჟურნალში არ ამოუკითხავთ. არ იცნობენ იმათ, ვინც ასოასო აწყობს, ნაწილ-ნაწილ აერთებს, ფურცელ-ფურცელ ბეჭდავს მანქანების გრუხუნსა და ფურცლების შრიალში...

მ. კვარაცხელია.

რ. მელაძე.

ფოტო გ. თიკანაძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჟან როჟისარი***

# ავტობუსი

მხატვარი დ. ერისთავი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ყოველ დილით, ოთხ საათზე ჩამოივლის ავტობუსი, ზამთარ-ზაფხულ ყოველ დილით, გარდა კვირადღეებისა, მაგრამ ელიზა კვირაობითაც მისთვის ჩვეულ დროს იღვიძებს, მერე უცებ ახსენდება: შეუძლია კიდევ იწვეს ლოგინში დასვენების ამ მშვენიერ დღეს, დააწყოს გეგმები,—რას გააკეთებს დილიდან შუადღემდე, შუადღისას, მერე ნაშუადღევს. ელიზა შესვამს ამ დალოცვილ დღეს წვეთ-წვეთად, იგემებს მას ნამცეც-ნამცეც, როგორც ჩასატკბარუნებელ შაქარლამას. რა ცუდია, რომ მხოლოდ ერთია კვირაში უქმე დღე, და ელიზა კვლავ იძინებს ცოტახნით, გულზე ხელებს იდებს, თითქოს იხუტებს ამ ტკბილ თავისუფლებას, ისე, როგორც მოწაფეობის დროს ჩაიკრავდა ხოლმე გულში ჩვრებისაგან გაკეთებულ დედოფალას.

ყველა სხვა დღეებში კი დილის ოთხ საათზე ჩამოივლის ავტობუსი. ის მხოლოდ ერთი წუთით ჩერდება სოფლის მოედანზე, მერე გზას განაგრძობს მეზობელი დაბებისაკენ, სადაც მას ელოდებიან სხვა ქალიშვილები, სხვა ელიზები. მაგრამ ვაი მათ, ვინც ვერ მიუსწრებს,—დღეც დაეკარგებათ და გაცდენისათვის დააჯარიმებენ კიდეც.

ამიტომ ავტობუსის მოსვლისთვის მზად უნდა იყვნენ.

და ელიზაც მუდამ მზად არის. სწრაფად იღვიძებს. «რომელი საათია?», ფხიზლდება, დახედავს მოელვარე ციფერბლატს: პირველი საათი: ღირს ისევ დაძინება? ადგეს? მაგრამ გუშინდელი დაღლილობის კვალი ჯერაც არ გამქრალა, თავიდან ფეხებამდე ადუნებს, მკლავებს უმტვრევს, თითებს უკრუნჩხავს... და ელიზა იძინებს იმ დრომდე, სანამ არ გაიგონებს მაღვიძარა საათის წკრიალს. საერთოდ, ელიზა ცდილობს არ ააწკრიალოს საათი, არ გააღვიძოს დები და ძმები. დედას, რომელიც მის გვერდით წევს, ცუდად ძინავს. გვიან ღამემდე უნდება ის პატარების წინდების ამოკემსვას და კონკების დაკერებას, გობზე დახრილი, გვიან ღამემდე რეცხავს ნესტიან სამზარეულოში... დედა ელიზას ქარხანაში წასაღებ საუზმეს უტოვებს, ასე რომ გოგონას ერთი წამიც კი არ ეკარგება ზედმეტი. ნაყიდი საუზმე ბევრად უფრო ძვირი ჯდება, ვინემ სახლიდან წაღებული, მისი ფასი მძიმე ტვირთად და აწვებოდა მათს ისედაც უბადრუკ ბიუჯეტს.

* * *

ელიზა წყნარად გამოსხლტა ლოგინიდან, არ უნდოდა დედა გაეღვიძებინა, თუმცა დღე და ღამ ფიქრმა და ვარამმა დიდი ხანია ძილი დაუფრთხო, სიფხიზლეს მიაჩვია. გოგონამ დედას საბანი ამოუკეცა. გასაფრთხილებელია. ელიზა ჩუმად, ფეხის ცერებზე დადის. მინანქრის დაფხაჭნილ პირსაბანში ჩაასხა გრილი, ოდნავ შემთბარი, ღამით ღუმელზე დატოვებული წყალი. შეუშვირა წყალს სახე, კისერი, მხრები, გულმკერდი და მკლავები. შესცივდა, მაგრამ სამაგიეროდ საბოლოოდ გამოფხიზლდა. მას ხომ არა აქვს საშუალება კოსმეტიკურ კაბინეტებში ინებივროს, როგორც ამას მამიკოების გასათუთებული ქალიშვილები, ან და მდიდარი მამლაყინწების საყვარლები შვრებიან.

ჰოპ! პირისახე გაკრიალებულია, კულულები მოხდენილადაა დალაგებული, სავარცხლის ოთხჯერ გადასმით: ორჯერ მარცხნივ, ორჯერ მარჯვნივ; საბედნიეროდ, ბუნებრივად ეხვევა თმა, ოდნავ აბურძგნული აქვს, დედა ამბობს—თავხედურადო. მაგრამ ჟანს, ელიზას ბიჭს, ასე უფრო მოსწონს. მიუხედავად დედის ბუზღუნისა, ტუჩებს მაინც ილებავს, თუმცა მარტო კვირაობით. ეს ხომ არაა ძვირი, ისიც კვირაში ერთხელ და ესეც რომ არ იყოს 17 წლის გოგონამ ახლა თუ არ იკეკლუცა, როდისღა დასტკბეს ახალგაზრდობით? სხვა დღეებში კი დაე, დილის ნიავმა გაუწიოს ფერუმარილის მაგივრობა.

ელიზა ჩქარობს, სმენად იქცევა, რადგანაც ავტობუსი ხანდახან რამდენიმე წუთით ადრე მოდის. ის მატარებელივით ზუსტი არ არის და არც არასდროს იცდის. მერე წადი და ამტკიცე, რომ მძღოლია დამნაშავე, რომ ის ვადაზე ადრე წავიდა! დღე გაცდენილია, ჯარიმა გადასახდელი და ხმასაც ვერ ამოიღებ. ასეა!

ჩქარა, ჩქარა! ელიზა ქურაზე ათბობს გუშინდელი ყავის ნარჩენს, სწრაფად ყლაპავს, ატანს ხმელი პურის ნაჭერს. როცა კარაქი აქვთ, ბავშვებს უზოგავენ.

ჩქარა, თორემ დრო აღარ იცდის!

აი, ელიზა უკვე ჩაცმულია: ლურჯი ტილოს კომბინიზონზე მან შალის პალტო გადაიცვა, კაცის შარვალი ჩაიცვა და გაეხვია შავ წამოსასხამში, რომელიც ძირებდაჭედილ ფეხსაცმელებამდე სწვდება და რომელშიაც, ერთი შეხედვით, მომაკვდავთან საზიარებლად მიმავალ ღარიბი სამრევლოს მღვდელს ჰგავს. ელექტროდენი რომ არ დაიხარჯოს, ელიზა ყველაფერს ზეთის ნათურის მბჟუტავ სინათლეზე აკეთებს.



* ჟან როჟისარი—საფრანგეთის პროგრესიული პოეტი, მწერალი და ნოველისტი, პროფესიით მასწავლებელია.

მისმა პირველმა რომანმა «მერვალი» თეოფრასტ-რენოს პრემია მიიღო, როჟისარის სხვა ნაწარმოებებიდან ცნობილია «არდენები» და «პარიზიდან სამარკანდამდე».

ეროვნული ბიბლიოთეკა



უკვე დროა! გარეთ ჯერ კიდევ ბნელა. ელიზა მიდის მკვირცხლად. ქარში და თოვლში, თოვლში და ყინვაში ისე სწრაფად გარბის, თითქოს ჩრდილებით სავსე ქუჩების გასწვრივ მიფრინავდეს.

აი, ოთხი მხრივ გაშლილი მოედანიც. ავტობუსი თვითმმართველობის შენობასთან ჩერდება. თვითმმართველობას კი ფიქრადაც არ მოსვლია პატარა თავშესაფარი ააშენოს მათთვის, ვინც ავტობუსს ელოდება. ამბობენ, ეს სოფლის ხედს მშვენებას დაუკარგავსო. თვითმმართველობის წევრებს საკუთარი მანქანები აქვთ. აქ კი რაიმე უბრალო გადახურულიც კი არსად ჩანს, რომ თავი შეაფარო წვიმასა და ქარში.

სიჩუმეში შორიდან მოისმის ძრავის გუგუნი, რომელიც თანდათან ახლოვდება და მატულობს. ერთიმეორის შემდეგ მოდიან მასავით ჩაფუთვნილი, ბიჭურად ჩაცმული ყველა ელიზები. ავტობუსის ნათურების ვიწრო, ირიბი შუქი ცას სერავს, გოგონებს ამთქნარებთ. ისინი ერთმანეთს ესალმებიან, ხელს ართმევენ და კოცნიან, თუ ახლო მეგობრები არიან.

— როგორა ხარ?

— არა მიშავს!

— იცი, მალე კვირაა!

— რა კარგია! კინოში წახვალ?

— რატომაც არა, თუ ჯო დამპატიჟებს!

— ბედი გაქვს, გოგო!

* * *

ავტობუსი ზანზარითა და ბორბლების გრიალით შემოიჭრა მოედანზე. მას საწყის სადგურიდან მოჰყავს რამდენიმე მგზავრი გოგონა. მძღოლი ხანშიშესული კაცია, ტანხმელი, სიტყვაძვირი. კარი ავტომატურად იღება. ყველანი ადიან, სხდებიან. ეს სულ რამდენიმე წამში ხდება. «ყველანი აქ არიან? ძალიან კარგი! ვაი, დაგვიანებულების ბრალი!» ავტობუსი უკვე მიჰქრის, ანჯღრევს და ერთმანეთზე აჯახებს მოძველებულ რონოდაში ფიცარივით მაგარ სკამზე მჯდომ მგზავრებს. მათ იციან, მგზავრობა დაახლოებით ორ საათს გასტანს. ყოველ მორიგ შეჩერებაზე ახალ-ახალი მგზავრი ამოდის,—ტანწვრილი, გალეული, სათუთსახიანი ქალები, ხველებისაგან ჩახლეწილი ხმით, მათი ტანისამოსი გაჟღენთილია ძველმანის, იაფი სუნამოს, სიმძაღის, უსუფთაობისა და ზეთის სუნით. ისინი, ვინც ბოლოს ამოვიდნენ, ზეზე დგანან, ჩასჭიდებიან ჭერზე ჩამოკიდებულ სახელურებს, და ყოველ მოსახვევში ერთმანეთს ეხლებიან. «სულ მეტროს არა ჰგავს!»—ისმის ვიღაცის ირონიული ხმა. მათ შორის არიან ხნიერი ქალები, დაქანცული სახეებით, არიან ფეხმძიმეებიც...

მანქანა ჭრიალობს, იგი თითქოს ველარ უძლებს ამდენი ადამიანის, ამდენი ახალგაზრდა სხეულის ტვირთს, ცოცხალი ძალების ასეთ თავმოყრას.

ნელნელა თენდება. წელიწადის ყოველ დროს განთიადი ოუხად ღებავს ფლანდრიის მუდამ მქრქალ ცას, ჩრდილო საფრანგეთის ქალაქების უღიმღამო, მტვრიან ცას, ჩამუქებულს და დასერილს მაღაროებიდან, ქარხნებიდან, მილიონობით და მილიონობით ადამიანთა ბინებიდან ამოსული წითური კვამლის სვეტებით.

მალე გამოჩნდება ქალაქი და ქარხნის ნაცრისფერი კორპუსი. ჭიშკარი გაფრიალებულია, ქარხნის ღუმელი უკვე ჩუმად ფთქვენს, მოდიან სხვა ავტობუსებიც, ყველა ერთმანეთის მსგავსი, ბინძური, დაჟანგული, სავსე გოგონებით, ქალებით, ჭაბუკებითა და მოხუცებით. ყველა შედის ქარხნის ჭიშკარში, წარადგენს საშვს, და შემდეგ აჩქარებული ნაბიჯით გაეშურებიან თავიანთი საამქროებისაკენ, რათა ჩაებან თავბრუდამხვევ შრომაში, მიენდონ ულმობელი მანქანის ძალას.

იმ დილით ჟანა არ წასულა ავტობუსით, არც იმის წინ, და ეს შეუმჩნეველი როდი დარჩა.

— ჟანა ავად ხომ არაა?

— არის და არც არის! მარცხი მოუვიდა!

— განთავისუფლებულა!

გასაგებია! უკვე რამდენიმე კვირაა, რაც ამას ყველა ამჩნევდა; ჟანა არც აპირებდა დამალვას. რა დასამალია ეს ამბავი ქალებს შორის? ისინი ერთმანეთს უზიარებენ ხოლმე კარგსა და ცუდ ამბებს, განსაკუთრებით, ცუდს.

მაინცა და მაინც არაფერი აქვს სამწუხარო. ხუთი შვილი ეყოლებოდა.

ვიღაცამ ყრუდ ჩაილაპარაკა: «მეხუთე ბავშვი მას აღარასოდეს ეყოლება, ძალიანაც რომ უნდოდეს! დაზგა წუთში ათჯერ ურტყამს მუცელში! როგორ შერჩებოდა ბავშვი? მუცლის მოსაშლელად ექიმი არც სჭირდება, მის მაგივრობას სამუშაო დაზგა უწევს, ხომ ასეა?»

— მართალია, — თქვა ელიზამ, — სამარცხვინო ამბავი არ არის? ჩვენ გვამუშავებენ მოძველებულ დაზგებზე, რომლებიც ბოლოს ან გაგვახეიბრებენ, ან მუცლის ავადმყოფობას დაგვმართებენ — კიბოს, ფიბრომას. მანამდე კი ეს დაზგები ქანცს გვაცლიან, გვფიტავენ.

ვიღაცამ ელიზას მხარზე წყნარად დაადო ხელი. «გაჩუმდი, გაჩუმდი, ბალღო!»

— გავჩუმდე? ერთი მითხარით, რატომ უნდა გავჩუმდე! მართალი არაა, რომ მანქანები მოძველდა? ჩვენ მთელ ძალღონეს ვძაბავთ, რომ გამოვიმუშაოთ მათხოვრული ხელფასი. ამ დილით არაფერი მიჭამია, დედაჩემი ქვრივია, სახლში ოთხი და-ძმა მყავს და სარჩო მხოლოდ მე შემაქვს. დედას ოჯახში ისედაც ბევრი საქმე აქვს, ჩემი შემოტანილი კი მხოლოდ იმაზე გვყოფნის, რომ სიმშილით არ მოვკვდეთ, ეს არის და ეს...

— გაჩუმდი!

— არ გავჩუმდები, მორჩა და გათავდა! სწორედ იმიტომ არ იცვლება არაფერი, რომ ყველა გაჩუმებულია. ჩვენი უბედურება ჩვენს სიმხდალეშია. სიმშილით კუჭი გვიხმება, ნესტიან და მტვრიან ჰაერს ვსუნთქავთ, ვმუშაობთ ბნელ სარდაფებში, ვსნეულდებით, ვჭლექდებით. ჩვენი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეპატრონეები კი მეფურად ცხოვრობენ, ...სპორტი, ტურიზმი, ზღვაზე ბანაობა და ვინ მოსთვლის კიდევ რა...

— გაჩუმდი, ელიზა!

— ჩვენ? ქოხმახებში ვცხოვრობთ, ჩვენთვის არც წყალსადენია, არც კანალიზაცია, არც საპირფარეშო. და ამის მერე ჰიგიენაზე დამიწყებენ ლაპარაკს. მეპატრონის ვაჟმა ახლახან ცოლი შეირთო, სასახლეში ცხოვრობს. მისმა ქალბატონმა კარგ ამინდში ბალახზე რომ იგორავოს, უზარმაზარი ბალახით მოხავერდებული ეზო გაუკეთეს. ამიტომ ასობით საბარგო მანქანას ოცდაათი კილომეტრის სიშორეზე გზავნიდნენ შლამის ჩამოსატანად. შლამი სქელ-სქელ ფენებად დაალაგეს, ზედ კოინდარი მოთესეს, ყვავილნარი გააშენეს. მებაღეებმა მიამბეს ყველაფერი. სირცხვილი არ არის? სადაა სამართალი! რამდენი მოხუცი და ბავშვი გასრისა გზებზე იმათმა მანქანებმა... გოგონებს სახელს უტეხენ, ხასებს წარამარა იცვლიან, ბეწვებში გამოწყობილან...

— არ გაჩუმდები?!

— რატომ გავჩუმდე? ვითომ ქველმოქმედებასაც რომ ეწევიან?! წმინდა ვინცენტის ძმობებიო, პატარა ჩინელების გამოსასყიდი საზოგადოებები, რძის დარიგება ღარიბებისათვის, ცხოველთა და ახალგაზრდა ქალთა დაცვა, მონაზნების და ბერების მეთაურობით სკოლების დაფუძნება, ხელოვნური ყვავილების სახელოსნოების მოწყობა და ვინ იცის კიდევ რა! სამოთხეშიაც უნდათადგილი დაიმკვიდრონ! ზეცაც უნდათ მოქრთამონ! ჩვენისთანა ღარიბ-ღატაკები ქვეყნად რომ არ იყოს რა ეშველებოდათ?!

ყველა ალაპარაკდა:

— ჩვენ ექვსნი ვართ, ხორციანი კერძი მხოლოდ კვირადღეობით გვაქვს...

— მეპატრონის ვაჟის კალმახებს კი დღეში ორჯერ კვებავენ საუკეთესო ხორცით.

— მართლა?

— ნამდვილად!

მოულოდნელად ავტობუსი შეჩერდა ტრიალ მინდორზე. ქარი ქროდა, ხშირი წვიმა უშხაპუნებდა მინებს. მძღოლი ადგა, კარი გამოაღო.

— ვინ არის რომ ქადაგებს აქ? — სთქვა მან.—ახლავე ჩამოვიდეს მანქანიდან.

ელიზა არ განძრეულა.

— ეს შენა ხარ, ელიზა ვასმანი, ბრიუგე-სიურ სალიდან! — თქვა მძღოლმა,—ახლავე ჩამოდი მანქანიდან! შენ ამაზე შორს არ წახვალ!

მან ქალები მისწიმოსწია, ხელი წაავლო ელიზას, რომელიც სკამებსა და სახელურებს ჩაბღაუჭებოდა.



— ხელი უშვი, თორემ ძალას ვიხმარ. არ გვჭირდება შენისთანა ენაჭარტალები. თუ ქარხანა არ მოგწონს, გაეთრიე. შენ დღეს ვერც მიხვალ იქ.

ელიზა იძულებული იყო დამორჩილებოდა, მძღოლმა მიათრია კარებამდე, ხელი ჰკრა, მანქანიდან ჩააგდო და კარი გაიკეტა. ავტობუსმა გზა განაგრძო.

ელიზამ უცებ მიიღო გადაწყვეტილება: ჩამოკიდებოდა ავტობუსის ერთერთ ტალახმცველს და ისე მისულიყო ქარხანამდე.

მანქანა საშინლად ჯაჯგუნობდა აღმართ-დაღმართზე. წვიმდა, ელიზას სიცივისაგან ხელები გაეყინა, კუნთებში ძალა გამოელია, მაგრამ გოგონა სულ უფრო და უფრო მაგრად ებღაუჭებოდა საფარს, ეშინოდა ხელი არ გასხლტომოდა და ბორბლებში არ ჩავარდნილიყო. ნეტავი რამდენი წუთი დარჩა მახლობელ შეჩერებამდე, სადაც შეიძლება ცოტათი მაინც მოითქვას სული, ხელები შეასვენოს... ანგარიშობდა. რამდენხანში მიაღწევდნენ ქალაქს.

თენდებოდა. პირქუშ დილას სინათლე ემატებოდა.

მანქანა უცებ შეჩერდა, მძღოლი ჩამოვიდა, ჩამოაგდო ელიზა ტალახმცველიდან. უბრძანა წინ ეარა, ხოლო როდესაც ელიზამ რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა, ავტობუსი ისეთი სისწრაფით გააქანა, რომ გოგონამ ვერ მოასწრო მანქანას უკან მოხტომოდა.

ავტობუსში მყოფთ ხმა არ ამოუღიათ, ამ უჩვეულო დუმილმა შეაშფოთა მძღოლი.

— ასე უნდა მაგას!—სთქვა მან.—ახლა ვისი ჯერია?

არავინ უპასუხა. იცოდნენ, რომ ის ერთერთი იმ მაბეზღარათაგანია. რომელთაგან ქარხნის მეპატრონის შინაგანი პოლიცია შედგება, მაგრამ მაინც არავის ეგონა, ასეთი არამზადა თუ იყო.

ბოლოს ქალაქს მიაღწიეს, ავტობუსი დაიცალა ქარხანასთან. გალუმპული ელიზა კი გზას განაგრძობდა. მან გადაწყვიტა მისულიყო ქარხანამდე. იქ ელოდებოდა ამხანაგები, სამუშაო, ლუკმაპური. გააგდებენ? ეგებ არ გააგდონ. ყოველშემთხვევაში, თავს დაიცავს, პროტესტს განაცხადებს. შესაძლოა, დირექციამ ვერ გაბედოს ასე აშკარად მოქმედება და შეიცადოს, სანამ ნამდვილ საბაბს იპოვიდეს მისი თავიდან მოსაცილებლად.

ჰო, მაგრამ მისი ამხანაგები? მაინც რა მხდალები აღმოჩნდნენ. უნდა ჩამოსულიყვნენ მანქანიდან და მოეთხოვათ, რომ იმ არამზადას შეეშვა ელიზა ავტობუსში. მხდალები ყოფილან, ეგებ შურიანებიც? მაგრამ რა უნდა შეშურდეთ მისი? თაყვანისმცემლები არა ყავს, ხელფასს სხვებზე ნაკლებს იღებს. მაინც შურთ?—შური და სიბოროტე ხომ სიღატაკის ნაყოფია.

მაგრამ ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს! დირექტორთან მივალ, დაწვრილებით ავუხსნი ყოველივეს, გულწრფელად, მშვიდად. ხომ არ შემჭამს, ბოლოსდაბოლოს? მოწმეებს მოვიყვან. მაგრამ ვის? შიშისაგან ენა მუცელში ჩაუვარდებათ და ალალბედზე მიმატოვებენ. ვნახოთ! სეირი მაშინ იქნება, თუ არ მომისმინეს, თუ თავდაცვის საშუალება არ მომცეს! რა ვუყოთ,—ხომ არის ქვეყანაზე გაზეთები, ზოგი მათგანი საბედნიეროდ მუშების ხელშია... ისეთ ალიაქოთს ავტეხ, რომ... განა რა ვთქვი ასეთი? სიმართლე! ხომ მართალია, რომ ჟანას მუცელი მოეშალა. დაზგის ბიძგებისაგან. სპეციალური სარტყელი უნდა ეტარებინა? ვის ატყუებენ? ამის შემდეგ კი მოსახლეობის გამრავლებაზე ლაპარაკობენ!

ზოგს ხმელი პური და წყალი, ზოგს—შემწვარ-მოხრაკულები?! ვაი იმას, ვინც ღარიბის ქოხში იბადება. და თუ მაინც და მაინც გნებავს თახვის ბეწვებში გამოეწყო, ჩემო პატარავ, მაშინ თავი უნდა გაყიდო! დიდხანს არ შეიძლება ასე გაგრძელდეს. გაბედონ და ხელი მახლონ,—მღვდელთან ვიჩივლებ, ეპისკოპოსთან წავალ, მივწერ კარდინალს, პაპს, ჩვენ დეპუტატს, სენატორებს, თუ საჭირო იქნება, თვით რესპუბლიკის პრეზიდენტამდე ვივლი.

ელიზა ფიქრობს პატარა, ჩვეულებრივი ადამიანების უძლურებაზე უსამართლობის წინაშე. სოციალური მანქანა თელავს უბედურებს, და ამას თითქოს არავინ არაფრად აგდებს.

ნახავთ! თქვენ რომ გგონიათ ეს ამდენხანს არ გაგრძელდება. სანადიმო სუფრა სულ ერთიდაიგივე ადამიანებისათვის როდი გაიშლება! ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი თავდაყირა დადგება. როდის იქნება ეს? არ ვიცი! მაგრამ ეს მოხდება, მალე მოხდება. ყველაფერი თავის დროზე აღსრულდება როგორც იქ, სადაც მშრომელებმა ჩამოაგდეს მეფე და გარეკეს ბოიარები. სისაძაგლე, შენს მიმართ რომ უნდათ ჩაიდინონ, ელიზა, ბოლოსდაბოლოს არც ისე ცუდია. ეს ბრმებსაც კი დაანახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებს სინამდვილეს. იმ არამზადამ თავისდაუნებურად მოაახლოვა ანგარიშსწორების წუთი, შესაძლოა სულ ერთი მილიმეტრით, მაგრამ მაინც. პარიზიც ხომ ერთ დღეს არ აშენებულა. უმსხვერპლოდ, შეუწუხებლად ძველ სამყაროს ბოლო არ მოეღება.

გზა ბზინავს. ელიზას ხშირად ფეხი უცურდება, კილომეტრების აღმნიშვნელი სვეტები ნელა მიიზლაზნებიან, ზოგი მანქანა მას წინიდან ჩაუქროლებს, ზოგი ზურგიდან წამოეწევა. წვიმა კი წუწავს გოგონას თავიდან ფეხებამდე.

უცებ ერთი საბარგო მანქანა შეჩერდა. მძღოლი ელიზას მიუბრუნდა.

— ქალაქში მიდიხარ, მშვენიერო?

— ჰო!

— ამოდი, წაგიყვან!

შესაძლოა, მძღოლს აზრად აქვს გზაში ელაზღანდაროს. მაგრამ ელიზა უნდა მივიდეს ქარხანაში, სანამ მუშაობა დაიწყება. ერთი საათიც რომ გააცდინოს, მიზეზად ესეც ეყოფა. შეიძლება ეს ბიჭი მოწმედაც გამოადგეს.

— შენ კლინის ქარხანაში მუშაობ. არა?

— ჰო. შენც?

— დიახ. რატომ არ წამოხვედი ქარხნის ავტობუსით?

— რატომ?

ის დაწვრილებით უყვება. შეუჩერებლივ ლაპარაკობს, უნდა ყველაფერი სთქვას, რომ ამით გული მოიოხოს. ყმაწვილს ფიქრადაც აღარ მოსდის გაარშიყება, აღარ ფიქრობს მოსტაცოს წუთიერი ალერსი, კოცნა, ანდა დაუნიშნოს მომავალ კვირას პაემანი. ბიჭი გაფითრდა. ტუჩები მოკუმა და წაიდუდუნა: «ცხვრების ფარა»!

— შენ მაინც ფეხით მიდიოდი ქალაქში? ეს კარგია. მართალი ხარ, საქმეს ყველგან და ყოველთვის ბოლომდე უნდა მისდიო.

— მოწმედ დამიდგები?

— ჩემი იმედი გქონდეს.

ელიზა ვერც კი ამჩნევს როგორ ჩამოდის სახეზე ბერეტიდან წვიმის წვეთები. მძღოლს ლაზღანდარობის სურვილმა დიდი ხანია გაუარა. მის წინ და არის, უმცროსი და!

— ცხვრების ფარასავით მორჩილები ყოფილან შენი ამხანაგები!

გათენდა. საბარგო მანქანა მიჰქრის ისეთი მოკლე გზებით, რომ ვინმეს შეიძლება ეგონოს მძღოლი მთვრალი ან გიჟიაო. მაგრამ ის მხოლოდ გაბრაზებულია და რაღაცას ბუტბუტებს თავისთვის. ის ფიქრობს ფეხმძიმე ჟანაზე და განსაკუთრებით. ამ პატარა ელიზაზე, ყველა ელიზებზე და აღშფოთებულია.

— მითხარი, დაიკო, გშია? ხომ სთქვი დღეს არაფერი მიჭამიაო? კაკვზე ჩანთა ჰკიდია. აიღე პური, ყველი, შიგ ვაშლიცაა. ნუ მომერიდები, ჭამე. ახლა გჭირდება ძალა და გამბედაობა. ცარიელი კუჭით, ჩემო ლამაზო, გაგიჭირდება...

— გმადლობთ, ბატონო, გმადლობთ.

— ბატონო კი არა. ამხანაგო, ამხანაგო! გესმის? შენ რომელ კავშირში ხარ?

ელიზა ჯერ არ არის კავშირის წევრი.

— კავშირში უნდა ჩაეწერო!

ყმაწვილისთვის რომ არ ეწყენინებია. ელიზამ ამოიღო ცოტა პური ჩანთიდან.

— დარდი ნუ გაქვს. მალე მივალთ. ჩემო ლამაზო,—სთქვა მძღოლმა,—მუშაობის დაწყებისას იქ ვიქნებით. შენი ბედი, ცარიელი რომ მივდივარ, თორემ ასე ჩქარა ვერ ვივლიდით.

აი ქალაქი. მუშათა უბნებიც, გაშავებული კრამიტის სახურავები. გოგო-ბიჭები სკოლისკენ მიიჩქარიან. ღია ფანჯრებში ჩანს როგორ რეცხავენ ქალები მოჭიქულ აგურის იატაკს...

აგერ, კლინის ქარხანაც!

— ო, რა კარგ დროს მოვედით,—ამბობს ელიზა,—მაგრამ ეს რას ნიშნავს? ჭიშკარი ფართოდაა გაღებული, ხოლო მუშა ქალები გარეთ არიან, ისინი ზამთრის პალტოებში, ბერეტებში, თავშლებში დგანან, მიყრდნობიან კედელს ჭიშკრის ორივე მხარეზე მიუხედავათ იმისა, რომ მთლად გალუმპულან და წვიმის წვეთები წურწურით ჩამოსდით წარბებიდან, ცხვირიდან, ნიკაპიდან...

— ეს რა ხდება?—თქვა მძღოლმა.—ხედავ ამას, ჩემო პატარავ?

— ვხედავ...

ელიზა გადმოხტა ტალახიან ასფალტზე. «ნუთუ, — ფიქრობს ის. — ნუთუ? ნამდვილად ასეა!» ქალები მიეგებნენ ელიზას. ქალები მას უცდიდნენ! ელიზა გაექანა მათკენ, მაგრამ აღელვებისაგან ფეხი წაუბორძიკდა.

ქალები გარს შემოეხვივნენ, მათ შორის არა მარტო ავტობუსში მყოფი გოგოებია, რომლებიც ამ უსინდისო მაბეზღარას პროვოკაციის მოწმენი იყვნენ, არამედ სხვებიც. ელიზა მათ არ იცნობს, ან შორიდან იცნობს. ესენი არიან საამქროს ამხანაგები, ფეიქრები, მრთველები, მგრეხავები, ახალგაზრდები და მოხუცები, გამოცდილი მუშები და შეგირდები. თითქმის ყველა აქაა, კლდესავით აღმართული, რიცხვმრავალი და მტკიცე, შეუდრეკელი და გაერთიანებული მასა.

ელიზას ხელს ართმევენ, კოცნიან, ეხვევიან, იხუტებენ.

— რა კარგია, რომ მაინც მოხვედი...

— ჩვენ უშენოდ არ შევიდოდით.

— თუ შენ გაგაგდებენ, ჩვენც წავალთ...

ელიზამ აღარ იცის ვის უპასუხოს, ვის გაუღიმოს, თვალებზე ცრემლები ადგება. თავს ველარ იკავებს. ასეთი ერთსულოვნება, ერთიანობა, კეთილნებათა შემჭიდროება, ასეთი საპროტესტო მოძრაობა თვითნებობის წინააღმდეგ იმდენად მოულოდნელი და გამამხნევებელი იყო, რომ ელიზა ქვითინებს, სულს ველარ ითქვამს სიხარულისაგან, არ სჯერა თავისი ბედნიერების!

დირექტორმა ვერ გაიგო რათ განაცხადეს ამ დილით მუშა ქალებმა უარი სამუშაოს დაწყებაზე. მან ვერც ის გაიგო, ერთბაშად რატომ შემოიჭრნენ ყველანი ქარხნის ეზოში.

და აი, კაბინეტში შემოვიდა დელეგაცია, არაჩვეულებრივად წყნარი, სახეების ახლებური, უცნობი გამომეტყველებით, თვალები უბრწყინავთ, თავი მაღლა აუწევიათ, რაღაც იდუმალი ძალა იგრძნობა მათს ასეთ შემჭიდროებაში.

— აი, ელიზა ვასმანი.

გამხნევებულმა ელიზამ ყველაფერი უამბო დირექტორს. უამბო ჟანას ამბავიც, ისიც, როგორ ჩამოაგდო მძღოლმა მანქანიდან ელიზა და მიატოვა შუა გზაზე. ელიზა ლაპარაკობს, ლაპარაკობს შეუწყვეტლივ იცის,—მასთანაა მთელი ქარხანა, ყველა მუშა ქალი.

დირექტორმა მოუსმინა ელიზას, მხრები აიჩეჩა და ამჯობინა დაემშვიდებინა იგი.

— ასეთი აღარ განმეორდება,—სთქვა მან.—შედით საამქროებში და დაიწყეთ მუშაობა. ამაზე ნუღარ იფიქრებთ...

მეორე დილით ავტობუსს სხვა მძღოლი მართავდა.

ფრანგულიდან თარგმნა ფ ა ტ ი გ ო კ ი ე ლ მ ა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აი, ამ ხელებით...

ფოტო გ. ვახტანგაძის



წითელთმიანი, ჭორფლიანი ბიჭი ღილაკს ხელს აჭერს და ლითონს ნელა აწვება. ისევ არ ვარგა. ყველაზე ძნელი დაზგის დაყენებაა. მილიმეტრის მეათედით შეცდები და თავიდან უნდა დაიწყო ყველაფერი.

ისევ გააჩერა დაზგა. გაასწორა. არც ახლა გამოდის რამე.

— ჩაქუჩით, ბიჭო... ჩაქუჩით გაასწორე.

თვითონ ლითონი ყოფილა მრუდე, დაზგის რა ბრალია! ოსტატის თვალს ვერაფერს გამოაპარებ.

ჭორფლიანი ბიჭი გრდემლზე ასწორებს ლითონს... ცოტა გაქლიბვაც უნდა.

ზუზუნებენ დაზგები, რახრახებს საბურღი ჩარხი და გიორგი ჩარექიშვილის ჩაქუჩის კაკუნი ისეთ ხმაურს აყენებს სახელოსნოში, რომ თავი ქარხანაში გეგონებათ, ნამდვილად კი თბილისის 77-ე საშუალო სკოლის საზეინკლო სახელოსნოში ვართ.

შრომის ბრიგადის მორიგი მეცადინეობაა. მეცადინეობა პირობით ითქმის, სინამდვილეში ნამდვილ სერიოზულ სამუშაოს ასრულებენ ნორჩი ხარატები. მექანიკური ქარხნისათვის ამზადებენ კარის სახელურების ღერძებს. ჯერჯერობით 400 ცალი აქვთ დამზადებული.



აი, რომ არ ფერხდებოდნენ... ლითონი აჭირვებს ხანდახან საქმეს, ხან მასალის უქონლობა, თორემ ვინ იცის აქამდე რამდენ დეტალს ჩააბარებდნენ ქარხანას, რამდენი მანეთი მიემატებოდა «სკოლის სალაროს».

ლითონი ბოლოსდაბოლოს მაინც ემორჩილება ტექნიკას და პატარა ხელებს... ზუზუნებენ დაზგები, რახრახებს საბურღი ჩარხი, დადის ოსტატი შალვა ლაზაშვილი დაზგებს შორის. შრომის ბრიგადა მუშაობს

კედლებზე სტენდებია—მე-5, მე-6 და უფრო მაღალი კლასელების



მიერ დამზადებული დეტალების ნიმუშები: ქანჩები, ჭანჭიკები, ყუთებისა და კარის საკეტები, ყულფები, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჩაქუჩები, ესენი შრომის გაკვეთილზე მზადდება. ბრიგადა ქარხნის დაკვეთაზე მუშაობს მხოლოდ. თაროები სავსეა ათასგვარი დეტალებით...

ბრიგადაში 7 კაცია. მსურველი კიდევ ბევრია. როცა სახელოსნოს გააფართოვებენ და ახალ დაზგებს დაუმატებენ, ბრიგადაც გაიზრდება,

იმ ადგილას, სადაც ახლა სადურგლო, ავტოსახელოსნო და სათბურია მოწყობილი, მიწა იყო, ჩვეულებრივი მიწა... გამოთხარეს, ოთახის ფორმა მისცეს, შელესეს, იატაკი დააგეს...

— მარტო ოთახები კი არა, აი, ის მანქანაც, გარეთ რომ დგას. მათი აწყობილია. ყველაფერს რასაც უყურებთ: სამტრედეები, საკურდღლეები, სათბური, ეს სუფთა დერეფნები ასე რომ ახარებს თვალს—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეების ნახელავია. აქ ჩანს გოგონების ოსტატობა. სათბურში ბიოლოგიის მასწავლებელი მერი ჩხარტიშვილი ვნახეთ.

ვათვალიერებთ ბადრიჯნის, პამიდვრის, კიტრის ჩითილებს.

— ხვალიდან ვიწყებთ ნაკვეთზე გადატანას.

ქვემოთ აგურისაგან გაკეთებული სოროებია. სამი გოგონა ჩამუხლულა, ესენი ნაზი დარბინიანი, ციალა შოთაშვილი და ივეტა პავლიაშვილი არიან. სტაფილოთი აპურებენ კურდღლებს. კურდღლები სწრაფად მრავლდებიან. მალე სამი ვერ აუვა ალბათ საქმეს.

ნაკვეთი დაბარულია და სასუქმოყრილი. ბიჭები ბზის ცოცხალ ღობეს ავლებენ.

— ესენი ჩვენი სკოლის სპორტსმენები არიან. მტრედებიც მათ აბარიათ.

ერთმა თვალი მოიჩრდილა და დაუსტვინა. მტრედებმა ცა გადასერეს.

— სამასამდე გვყავს, ათამდე ჯიშისა: თეთრა, წაბლისფერი, თაგუნა, შავკუდა, ფოსტა, ქოჩორა... სხვა სკოლებს ვაძლევთ გადარიცხვით. «სასკოლო ყულაბაში» წვლილი ჩვენც შეგვაქვს.

მანქანასთან ლითონის ჯართის გროვაა. 77-ე სკოლამ უკვე ჩააბარა 600 მანეთის ლითონის ჯართი, 800 მანეთის ქაღალდის მაკულატურა.

ახლა უკვე გადაჭარბებულად აღარ გვეჩვენება ის მიმართვა, რომლითაც ამ სკოლის კოლექტივმა გამოიწვია საქართველოს სხვა სკოლები: ერთი წლის განმავლობაში «სასკოლო სალაროში» შეიტანონ 100.000 მანეთის დანაზოგი.

სადურგლო სახელოსნოში შალაშინი აკოხტავებს ხაოიან ფიცრებს. ცვივა ბურბუშელა... ლურსმანი და ჩაქუჩი, კარგად გაშალაშინებული ფიცრები და ლითონის პატარა ფირფიტები... სულ ნახევარი საათი და ყუთი მზადაა.

კუთხეში აწყვია დამზადებული ყუთები. ამ სახელოსნომ საქცხიმკომბინატს 1000-მდე ყუთი ჩააბარა, გამწვანების ტრესტს—100-მდე სანერგე.

ზოგი ჩაქუჩის ტარებს ამზადებს საზეინკლო სახელოსნოსთვის.

შრიალებს შალაშინი, ცვივა ბურბუშელა და ბიჭუნების დაძაბული სახეები გეუბნება, რომ საქმე სერიოზულია...

ციხანა ჟღრჟღლიანი





## ნუტრიების მომშენებელი

ის ახლა 22 წლისაა. 1955 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში დაიწყო მუშაობა მქსელავად. კომკავშირელი გალინა კუვალდინა წარმატებით ასრულებს საწარმოო გეგმებს და კომბინატის ერთერთ მოწინავე მუშად ითვლება. დიდი ხანი არ არის, რაც იგი დაეუფლა ახალ «პროფესიას» — ნადირთმცოდნეობას, დაიწყო თავის საცხოვრებელ ეზოში ნუტრიების მოშენება. სამგორის რაისამომხმარებლო კავშირის დამზადების კანტორისაგან ხელშეკრულებით მიიღო 12 ნუტრია, ეზოში მოაწყო მათი სადგომი, წყლის აუზი. მოშენების პირველი დღეებიდანვე ნუტრიები მიეჩვივნენ ახალ «დიასახლისს», დგებიან უკანა თათებზე და სთხოვენ საკვებს: მარცვლეულს, ჭარხალს, ხის მწვანე ქერქს, რტოს.

ნუტრიები ძლიერ წრაფად მრავლდებიან. დედალი ნუტრია წლის განმავლობაში ორჯერ შობს 5-6 ლეკვს.

წელს კუვალდინა მიიღებს დაახლოებით 100—110 ლეკვს. ხელშეკრულების თანახმად სამგორის სამომხმარებლო კავშირის დამზადების კანტორას ჩააბარებს 24 მოზარდ ნუტრიას, დანარჩენი კი დარჩება მას.

ნუტრიას აქვს ძვირფასი ნაზბეწვიანი ტყავი, რომელიც ჩამოგავს წავის ტყავს. მისი მოშენება დიდ სარგებლობას იძლევა. ამჟამად თბილისში ნუტრიების მოშენებას ეწევა შვიდი ინდივიდუალური მეურნეობა.

გალინა აგრეთვე წარმატებით სწავლობს. ის მსუბუქი მრეწველობის დაუსწრებელი ტექნოლოგიური ტექნიკუმის სტუდენტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბავშვის სიცოცხლისათვის

1958 წლის დასაწყისში გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ მოაწყო კონკურსი საუკეთესო მოთხრობაზე, რომელიც გერმანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას მიეძღვნა.

გამარჯვება წილად ხვდა გერმანელი მოსამართლე ქალის—მარტა ლუდვიგის მოთხრობას «ბავშვმა უნდა იცოცხლოს», რისთვისაც ავტორმა ჯილდოდ საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ 18-დღიანი ტურისტული საგზური მიიღო.

მარტა ლუდვიგი თავის მოთხრობაში გვიამბობს, თუ როგორ დაეხმარა იგი გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნილ ახალგაზრდა საბჭოთა ქალს ბავშვის გადარჩენაში.

1944 წლის გვიანი შემოდგომაა. ფაშისტების «ნაქები» ჯარი თავზარდაცემული გარბის უკან თავის ბუნაგისაკენ. თვით გერმანიაშიც დაბნეულობაა. მოსამსახურეთა ნაკლებობის გამო სამსახურში ისეთსაც იღებენ, ვინც ფაშისტებისათვის საეჭვო პიროვნებას წარმოადგენს. ასეთებს მარტა ილუდვგიც ეკუთვნის. თუმცა სამსახურშია, მაგრამ ბევრი რამ აქვს აკრძალული. განსაკუთრებით—ურთიერთობა «უცხოელ მუშებთან», მაგრამ მარტა ლუდვიგმა მაინც გამონახა საშუალება დახმარებოდა ნინას, ახალგაზრდა უკრაინელ ქალს. მარტამ შეამჩნია, რომ ახალგაზრდა ქალი ძუძუთა ბავშვით ხელში, აღელვებულია და უმიზნოდ დარბის აქეთ-იქით. მარტამ ნინასთან მისვლა ვერ გაბედა, მაგრამ გაიგო, რომ ნინას სურს ბავშვის რეგისტრაცია, ხოლო დაბადების მოწმობის მიღება მას შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებდა, რომ ბავშვი ნამდვილად მისია, მან კი ბავშვი ბარაკში შობა, მოწმის გარეშე. თუ მოწმობას ვერ მიიღებდა, ბავშვს წაართმევდნენ. მარტამ გადაწყვიტა დახმარებოდა ნინას და ბავშვი სიკვდილისაგან გადაერჩინა. ნინა დიდხანს ეჭვობდა, ვიდრე დაიჯერებდა მარტას კეთილ განზრახვას. მარტა ლუდვიგის მოვალეობას ბიუროში შეადგენდა ცნობების წინასწარ მომზადება და ხელმოსაწერად ერთერთ მოხელესთან შეტანა. ამ მოხელეს ჩვეულებად ჰქონდა შესვენების საათები ზუსტად დაეცვა.

მარტამ განიზრახა ამ ჩვეულების გამოყენება. დაამზადა ცნობები და მათ შორის დაბადების მოწმობაც მოათავსა. როდესაც შესვენების დაწყებას რამდენიმე წუთი აკლდა, მარტა შევიდა მოხელის კაბინეტში, მოხელე აბუზღუნდა, მაგრამ ქაღალდების სინჯვას არ შეუდგა და ისე მოაწერა ხელი. მარტას მღელვარებისაგან მუხლები ეკვეცებოდა, სწრაფად შეკრიბა ქაღალდები და მივიდა ნინასთან. ქალები ერთმანეთს გადაეხვივნენ და დიდხანს ტიროდნენ. ნინამ რამდენჯერმე გაიმეორა ორი სიტყვა, რომელიც მარტამ ვერ გაიგო, ახლა კი კარგად ესმის მათი მნიშვნელობა. ეს სიტყვები იყო—«მეგობრობა», «ამხანაგობა». მარტა ბედნიერი იყო,—ერთ ადამიანს მაინც გააგებინა, რომ გერმანიაში მხოლოდ ფაშისტები არ არიან.

«შეიძლება იყოს რაიმე უფრო მშვენიერი, ვიდრე ხალხთა შორის მეგობრობა? მე მგონია, არა».—ასე ამთავრებს თავის მოთხრობას მარტა ლუდვიგი.

გასული წლის ზაფხულში მარტა ლუდვიგმა საბჭოთა კავშირში იმოგზაურა, თბილისშიც ჩამოვიდა და თავისი მეგობარი ნინა ინახულა. შთაბეჭდილებები ამ მოგზაურობის შესახებ მარტა ლუდვიგმა გამოაქვეყნა გერმანულ ქალთა ჟურნალში «ფრაუ ფონ ჰოიტე».

ვბეჭდავთ ამ წერილს.

# ნინასთან შეხვედრა

წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როცა ჟიურიმ საბჭოთა კავშირში მოგზაურობით დამაჯილდოვა.

ახლა კი ნამდვილად შევხვდები ნინას!

იმ დღესვე შევატყობინე მას ჩემი ბედნიერების შესახებ და პასუხმაც არ დააყოვნა: «მოუთმენლად გელი, ჩემო საყვარელო მეგობარო. უბედნიერესი ვიქნები, თუ კვლავ შეგხვდები. ნინა».

მოსკოვში გატარებული სამი დღის შემდეგ ღამით საქართველოსკენ გავფრინდით, ხოლო დილით ადრე, მზის ამოსვლასთან ერთად, უკვე თბილისში ვიყავით.

თვითმფრინავი ისევ აეროდრომის ბილიკზე გარბოდა, მე კი აუარებელ დამხვდურებში უკვე ჩემს მეგობარს დავეძებდი. ერთი ქალი, ყვავილების მთა რომ ეჭირა ხელში, აღელვებული აქეთ-იქით დარბოდა, იქნებ ნინაა?

თვითმფრინავიდან ჩამოსულიც არ ვიყავი, რომ უცებ უზარმაზარი თაიგულით ხელში, 14 წლის ჩაფსკვნილმა ბიჭუნამ მოირბინა. ის ფოტოსურათი, მე რომ ერთხელ ნინას ვაჩუქე, ხელში ეჭირა, შემომხედა და უცებ კისერზე ჩამომეკიდა.

თვალებზე ცრემლები მომადგა, ეს ხომ პატარა პავლეა! რამხელა გაზრდილა! მე კი რატომღაც ისევ ჩვილ ბავშვს ველოდი, იმას, 14 წლის წინ ნინამ რომ კალთაში ჩამიგორა. აი, ნინაც! ის ახალგაზრდა! ქალი, ყვავილების მთით ხელში, თვითმფრინავიდან რომ შევამჩნიე. ისევე, როგორც 14 წლის წინათ, ჩვენ ახლაც აგვიცრემლდა თვალები, მაგრამ ეს არ იყო მწუხარებისა და ტკივილის ცრემლები. ეს დიდი სიხარულის ცრემლები იყო...

ნინა გერმანულად, რუსულად და ქართულად მოგვესალმა. მე ისე ვიყავი აღელვებული, რომ სიტყვების აზრი არ მესმოდა, მხოლოდ ნინას თბილსა და მტკიცე ხელებს ვგრძნობდი. მახსენდებოდა 1944 წლის ნოემბრის პირქუში დღე, როცა ნინა, პატარა ბავშვით, უმწეოდ იდგა ჩემს წინ. იმ ახალგაზრდა, გამოუცდელი დედისაგან მშვენიერი დარბაისელი ქალი დამდგარა. თუმცა ასეთი შეიძლება ახლა არც ყოფილიყო ნინა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მისთვის ყველა პირობა რომ არ შეექმნათ.

ჩემი მეგობარი ბავშვთა ერთერთი სახლის აღმზრდელი და მასწავლებელია. მისი მეუღლე კი ყარა-ყუმში უდაბნოს სახეს უცვლის და იქ უკაცრიელი მიდამოების აყვავებასა და ბაღების გაშენებაზე ოცნებობს.

ყველაფერი ეს ნინამ მანქანაში მიამბო, როდესაც აეროდრომიდან ქალაქისკენ მივქროდით. ჭეშმარიტად, განუსაზღვრელი შესაძლებლობის ქვეყანა—ეს საბჭოთა კავშირია და არა ამერიკის შეერთებული შტატები!

მანქანამ თბილისის ერთერთ ძველ უბანში, ნინას სახლში მიგვიყვანა. მეზობლები და ნათესავები გვეგებებიან. ასეთმა გულთბილმა შეხვედრამ მე ისევ დამამუნჯა და მასპინძლებისათვის მხოლოდ ხელის ჩამორთმევას ვახერხებ. ეს წესი მიღებული ყოფილა თურმე საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმარს და განსაკუთრებით უცხოელს მთელი ნათესაობა უნდა გამოეგებოს. პირველად 86 წლის პაპა მომესალმა, მერე კი ოჯახის აურაცხელი წევრების ხელიდან ხელში გადავდიოდი...

ბოლოს, გრძელ, საზეიმოდ მორთულ მაგიდას შემოვუსხედით. მე თვალები ამიჭრელდა. ასეთი შესანიშნავი სუფრა შეიძლება, ალბათ, ნახო მხოლოდ ჯადოსნურ საქართველოში, სადაც თითქმის ტროპიკული მზის სხივები მარად თოვლიან, ყინულოვან მთებს თავს ევლება და ძვირფას, სურნელოვან ღვინოს აყენებს.

არ მინდოდა მეწყენინებია მასპინძლებისათვის და ვინ მოთვლის, რამდენი კერძი გავსინჯე!

ო, რა დღე იყო ის დღე!

შემდეგ ცეკვა-თამაში და სიმღერა გაჩაღდა. თვითეული მოცეკვავე ნამდვილად დამთავრებული ხელოვანია, ისინი შეძახილებით ხტებოდნენ მაღლა და ციბრუტივით ტრიალებდნენ ისე, რომ მე თავი მიბრუოდა. ქალების ცეკვა ზომიერი და ნარნარია, სავსე ჰარმონიითა და გრაციით.

ზეიმი მთელ დღეს გაგრძელდა. შუადღისას, როცა მზემ ძალიან დააცხუნა, ცოტა შევისვენეთ, საღამოს კი მუსიკის ხმამ ისევ გაგვაღვიძა და ქეიფი თითქოს თავიდან დაიწყო!

მიკვირს და ნინას ვეკითხები: «მე ვარ ასეთი დიდი ზეიმის მიზეზი?» —ნინას ეცინება და ამბობს, რომ საქართველოში დიდ პატივს სცემენ ნათესაურ გრძნობას და მას მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ოჯახში იცოდნენ, რომ ნინას ჯანმრთელობა ძალიან შერყეული იყო ჰიტლერული გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნის გამო და შვილი მას აღარასოდეს ეყოლებოდა, ხოლო რადგან 1944 წელს მე მისი ერთადერთი შვილი, პატარა პავლე, გადავარჩინე—მთელი მისი ნათესაობა უზომოდ მადლიერი იყო ჩემი.

მეორე დღეს მოვაწყეთ სასიამოვნო გასეირნება მთაში. ეს შესანიშნავი იყო! ჩვენ თხელ საზაფხულო კაბებში გამოწყობილნი ღია მანქანაში ვისხედით, წინ კი თოვლით დაფარული მთები აღმართულიყვნენ და მზეზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ. თოვლის და მთის მცენარეების სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი გვათრობდა... უნებურად სიმღერა წამოვიწყე, მძღოლიც ამყვა და ასე მხიარულად მივდიოდით სულ ზევით და ზევით... ყველა ჩვენ გვიყურებდა და ღიმილით ხელს გვიქნევდა. ჩემი 50 წლის ასაკის მიუხედავად ბავშვივით აღტაცებული ვიყავი, ვიბანავეთ მთის ჩქარ მდინარეში, რომელსაც თურმე სათავე თურქეთში აქვს და კასპიის ზღვას კი ერთვის.

მეორე დღეს შავი ვარდების ველს ვესტუმრეთ. ეს შესანიშნავი ადგილი მაღალ მთებს შუა მდებარეობს. ჯერ კიდევ შორიდან ვიგრძენით ვარდების სურნელება. გავშეშდი, ისეთი წარმტაცი და ენით აუწერელი სილამაზე გადაიშალა ჩვენს თვალწინ. ვარდები, ყველგან ვარდები, სადაც კი თვალი გაწვდება, ვარდები! ისინი თავისი ხავერდოვანი მუქი წითელი ფურცლების გამო შორიდან შავი გეგონებათ. აქ ვარდის ძვირფასი ზეთი გამოჰყავთ, რომელიც სხვადასხვა კოსმეტიკური ნაწარმისათვის ძირითადი ნედლეულია.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ჩემს შეხვედრაზე ამ ბედნიერ ადამიანებთან. მაგრამ ახლა არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა ერთ გარემოებას რომელიც ასე გეცემათ თვალში.

საბჭოთა კავშირში არავინ ამბობს «მე» და «ჩემი», იქ ყველამ იცის, რომ იგი დიდი საზოგადოების, დიდი ოჯახის წევრია, რომელსაც «ჩვენ» და «ჩვენი» ჰქვია.

**მარტა ლუდვიგი**

ჟურნალი «ფრაუ ფონ ჰოიტე», № 37 1958 წელი (გდრ).

გერმანულიდან თარგმნეს ლ. სადრაძემ და თ. ჩიქოვანმა.

# იცით თუ არა თქვენ, რომ...

... თვითეული ლალის ვარსკვლავი მოსკოვის კრემლის კოშკებისა დაახლოებით ერთ ტონას იწონის. ქიმებს შორის მანძილი კი სამი მეტრია.

... მდინარე რიონს მარტო ერთი წლის მანძილზე შავ ზღვაში ჩააქვს 8,5 მილიონი კუბმეტრი ქვა, სილა და შლამი. ამ რაოდენობის ტვირთის გადატანას რკინიგზით დასჭირდებოდა დაახლოებით ხუთიათასი მატარებელი.

... საბჭოთა ქალაქი—კურორტის გელენჯიკის სახელწოდება ნიშნავს «თეთრ საძლოს». ოდესღაც ჩერქეზეთის ამ სოფლიდან გაჰყავდათ თეთრი მონა ქალები თურქეთსა და ყირიმში.

... ქრიზანტემების სამშობლო ჩინეთია. აქ მისი მოშენება დაიწყეს დაახლოებით სამი ათასი წლის წინათ. ახლა ჩინეთში ხარობს ამ ყვავილის 1.800-ზე მეტი სახე. მათ შორის არის ქრიზანტემა «ვერცხლის დრაკონი», რომლის ერთ ბუჩქზე იშლება სხვადასხვა ფორმის, ფერისა და ზომის 600-ზე მეტი ყვავილი.

... ერთმა საბჭოთა სწავლულმა ფუტკრის ზოგიერთი ოჯახისაგან, რომლებსაც იგი სპეციალურ საკვებს აძლევდა, მიიღო სამკურნალო ნივთიერებათა შემცველი 85 ხარისხის თაფლი. მათ შემადგენლობაშია გლუკოზა, ვიტამინები, სინტეტური ჰორმონები და ხინაც. საბჭოთა მეცნიერის ცდები საყურადღებოა არა მარტო იმიტომ, რომ ავადმყოფებისთვის ასეთი წამლების მიღება ადვილი და სასიამოვნო იქნება, არამედ იმითაც, რომ ეს წამლები, თაფლის ანტიბიოტიკურ თვისებათა გამო, განუსაზღვრელი ვადით ინახება.

... სტენოგრაფია, რომლის მეოხებითაც ყოველგვარი ტექსტის ჩაწერა 5-ჯერ უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ჩვეულებრივი ანბნებით, გამოიგონა მონა ქალმა ტირომ, 63 წელს ჩვენს ერამდე. ტირო გამოჩენილი რომაელი სახელმწიფო მოღვაწისა და ორატორის ციცერონის საკუთრება იყო.

... თაგვები, ვირთაგვები და სხვა მღრღნელები ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში ნთქავენ 35 მილიონ ტონა მარცვლეულს. მარცვლის ეს რაოდენობა საკმარისია ერთი წლის მანძილზე 100—120 მილიონი კაცის გამოსაკვებად.

... იხვები და ბატები უფრო ადვილად იტანენ სიცივეს, ვიდრე პოლარული დათვები. ცხოველთა დიდი ნაწილი ხანგრძლივად უძლებს—45 გრადუსს ტემპერატურას, თეთრი დათვი და ზღვის ლომი 80 გრადუსს ყინვას იტანენ, იხვებმა და ბატებმა კი ამ მხრივ რეკორდი დაამყარეს, ისინი 100 გრადუსი ყინვის დროსაც ცოცხალი არიან.

... ადამიანი თავისი ცხოვრების 70 წლის მანძილზე 23 წელს ძილში ატარებს, 13 წელს—ლაპარაკში და 6 წელს—ჭამაში.

... ადამიანის თმა ტყვიაზე, თუნუქზე, ალიუმინზე და სპილენძზე უფრო მაგარია, ამ მხრივ ჩამორჩება მხოლოდ რკინას, ბრინჯაოს და ფოლადს. 0,05 მილიმეტრი სისქის თმა 100 გრამ სიმძიმეს უძლებს.

... პირველი ფოტოსურათი რუსეთში გადაღებულ იქნა 1840 წელს. ადამიანი, რომელიც უნდა გადაეღოთ, 20 წუთს გაუნძრევლად უნდა მჯდარიყო ფოტოაპარატის წინ.



# ჩვენი ქეთო

ქეთო ჯაფარიძე. ეს სახელი სიმღერად მოესმის იმას, ვისაც ქართულ ესტრადაზე ჩვენი უსაყვარლესი მომღერალი ქალი უხილავს და მისი მომაჯადოებელი ხმა გაუგონია.

შესრულების მომხიბვლელობისა და განსაცვიფრებელი ოსტატობის გარდა ამ ქალში იყო რაღაც განსაკუთრებული, თავისთავადი და გასაოცარი, მხოლოდ მისთვის—ქეთოსთვის დამახასიათებელი. რა იყო ეს? ხმის სინარნარე, დიაპაზონი, სიძლიერე თუ ქართული ცეცხლოვანება და ეშხი? ერთიც და მეორეც: რამაც შემდგომ ასე განაცვიფრა მთელი ლენინგრადიც.

ქეთო ჯაფარიძე. მე იგი მახსოვს ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებიდან, მახსოვს მთელი მისი ოჯახი: მამა, დედა, ძმა რეზო, და თინა. რა კარგად მღეროდნენ ისინი შესანიშნავ ქართულ სიმღერებსა და რუსულად გადმოკეთებულ ჩეხურ მელოდიებს.

როგორც ჩანს, ჩეხი ხალხის სიმღერები მათ ოჯახში დიდი რეგენტის რატილის წყალობით შემოიჭრა. რატილი იყო ერთერთი ჩამომყალიბებელთაგანი იმ ქართული ხოროსი, რომელიც დიდებულად ასრულებდა ქართულად გადმოკეთებულ ჩეხურ სიმღერებს.

მე მახსოვს დიმიტრი ყიფიანის სახლი ქვიშხეთში—მაღლობზე გადმომდგარი, ქართლის მშვენიერ ხედებს რომ გადაჰყურებდა.

მისი დიდი დარბაზი, შოპენისა და ჩაიკოვსკის ეპოქის ვებერთელა წაბლისფერი როიალით... აქ იყრიდნენ თავს იმდროინდელი მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები... ვანო სარაჯიშვილიც ხშირი სტუმარი იყო. აქ არა ერთხელ მოგვისმენია საქართველოს ბულბულის ღვთაებრივი სიმღერები.

ქეთოც ისმენდა და ტკბებოდა. ემღერებოდა თავადაც. ოცნებობდა და ნატრობდა,.. და ყველასთვის მოულოდნელად ამ ნორჩ ქალსაც არაჩვეულებრივი სილამაზის ხმა აღმოაჩნდა, ხმასთან ერთად მუსიკალობა და მიმზიდველობა, რამაც ყველა ერთბაშად მოხიბლა. უკვე მაშინვე, სადაც კი რაიმე საღამო გაიმართებოდა, ქეთო პირველი წვეულთაგანი იყო. დღესაც სიამოვნებით მოვიგონებთ ხოლმე იმ შესანიშნავ ხმაშეწყობილ სიმღერებს, რომელშიც ქეთოც მღეროდა: «ტურფავ, მოდი, ნუ ხარ მტრულად «მოდის გემი», «დაიგვიანეს»... «მე ისევ მიყვარხარ»...

დიაპაზონი ქეთოს რეპერტუარისა ჯერ კიდევ მაშინ იყო განუსაზღვრელი. მისი მშვენიერი ხმა ჰარმონიულად შეერწყმებოდა ხოლმე ყოველნაირ სიმღერას. იგი თავისუფლად ენაცვლებოდა როგორც პირველს, ისე მეორესა და მესამე ხმას.

სასწავლებლის დამთავრების, შემ[illegible]რების რჩევით. ქეთო ხმის დამუშავებას იწყებს.

სულ მალე იგი საპასუხისმგებლო არიებსაც ასრულებს...

მაგრამ მაშინდელ თბილისელ საზოგადოებას უფრო მისი შესანიშნავად შესრულებული მსუბუქი ჟანრის სიმღერები მოსწონდა...

დიდხანს დადიოდა ქეთო მეგობართა ოჯახებში, ამშვენებდა მათ დარბაზებს და. რა თქმა უნდა, იგი ყოველთვის ცენტრი იყო საზოგადოებრივი ყურადღებისა. გამოჩნდებოდა ქეთო და ყოველი მხრიდან ისმოდა: «ქეთო გვიმღერე». «ქეთო დაგვატკბე!» და ეს იყო და ეს. ამით იფარგლებოდა ქეთოს უტყუარი ნიჭი. შესაძლო იყო მას საერთოდ ვერ დაეღწია თავი ამ ვიწრო წრისათვის და გამქრალიყო უჩინარად, ვითარც მრავალი მისთანანი...

მაგრამ მეგობრებმა და ახლობლებმა თითქმის ძალად «გამოაგდეს» ქეთო სცენაზე. მისი პირველი გამოსვლები სიცილსაც გვრიდა და ცრემლებსაც... საზოგადოების წინაშე იდგა ნიჭიერი მომღერალი. ნამდვილი შემოქმედი. მაგრამ ძალზე მორცხვი. გამოუცდელი ახალბედა.

წარმატება დიდი იყო, გზა— ხსნილი. სულ მალე ესტრადის მესვეურთ უქეთოოდ ვერ წარმოედგინათ.

აი, ქეთო ლენინგრადის საზოგადოების წინაშე წარსდგა. ღელავდა. გასაგებიც იყო მისი მღელვარება. ადვილი საქმე არ გახლდათ მოგეხიბლათ ის საზოგადოება, რომელიც ასე გაანებივრეს დიდებულმა მომღერლებმა შალიაპინმა, სობინოვმა, ნეჟდანოვამ და ქეთოს ჟანრის ცნობილმა მომღერლებმა ვიალცევამ. პანინამ და დავიდოვმა.

«მოვეწონები მათ თუ არა»... «მოვეწონები თუ არა»...—ფიქრობდა ქეთო.

მოეწონათ. მომხიბვლელი ქართველი ქალი ქართული ტემპერამენტით, მომჯადოებელი ტემბრით, თავისი სინაზით. ემოციურობით იდგა სცენაზე და ძნელი იყო მის ძალას გაქცეოდა ვინმე. დიდი წარმატება ხვდა წილად პირველსავე კონცერტებს ლენინგრადში,..

ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სხვები—ქეთოს უახლოესი მეგობრები იყვნენ და მათი სიტყვის თუ სიმღერის მშვენიერებას განსახიერება ეპოვა თვით ქეთოშიაც. ამ ქალაქმა დიდება და სახელი მოუტანა მას. ლენინგრადი დაუვიწყარი გახდა ქეთოსთვის და ქეთო ლენინგრადისათვის (ამიტომ გასაგებია ამას წინათ თბილისში გამართულ ქ. ჯაფარიძის შემოქმედებით, საღამოზე ლენინგრადელთა ჩამოსვლა).

და ქეთოც მღეროდა მთელის გულით. მთელის არსებით. ადამიანს ალხენდა მისი სიმღერა—ბედნიერებას გვრიდა.

და უეცრად მისი ხმა მრისხანე გახდა, სიმღერა საბრძოლო—ეს უკვე სამამულო ომის დღეებში ქეთო თავისი სიმღერით სამშობლოსათვის რაზმავდა ხალხს,..

ჩვენი ქეთო—მართლაც ჩვენია უსაყვარლესი მომღერალი ქალი, რომელიც ასე ახლოს მივიდა ხალხის გულთან.

**მიხეილ ჭიაურელი.**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.
სტალინური პრემიის ლაურეატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორი ბულბული

*(ნამდვილი ამბავი)*

7240

იმ დღეს ადრე წავიდა სარაჯიშვილი ოპერის თეატრისაკენ. ყვავილების კვირტებში თრთოდა ადრიანი გაზაფხულის მშვენიერი დილა. ის იყო ოდნავ წამოწვიმა, რომ მზემ გაარღვია ღრუბლების რკალი და ქვეყანას ოქროსფერი სხივები გადმოაფრქვია. მზისა და ღრუბლების ჭიდილმა, დარმა და ავდარმა ვანოს ისევ ის ლექსი გაახსენა, რამდენიმე დღის წინ იტალიური რომანსის კილოზე რომ მიუმღერა ერთ «მრისხანე ასულს» კოტე ყიფიანის ოჯახში. კომპოზიტორი ანდრია ყარაშვილიც იქ იყო და აღტაცებით ამბობდა,—ვანო რას არ აამღერებს, რას არ ჩაუდგამს სულს, რა სასიამოვნოდ ჟღერს იტალიურ ჰანგზე ქართული ლექსიო.

—მაშ დაუწერეთ ამ ლექსს მუსიკა, რაღას ელოდებით?—სთხოვა კომპოზიტორს სარაჯიშვილმა. ახლაც გულში იმ ლექსს ღიღინებდა და ლაღად მიაბიჯებდა ახლადდანამულ ქვაფენილზე.

«მოციმციმდი, მოდი, გამოიდარე»—
შრიალებდნენ ფოთლები.
«შენგან ბნელი გული გამომიდარე»—
ციალებდნენ მზის სხივები.
«ნაპერწკლები ეშხისა მომაყარე»—
ჩურჩულებდა ნიავი.

მალე უკან მოიტოვა წყნეთის ვიწრო და ხმაურიანი ქუჩა. წინ გოლოვინის ულამაზესი პროსპექტი გადაიშალა, ფართო და ნათელი, ახლად შეფოთლილი ხეებით და ფერადი ყვავილებით მოქარგული. ქუჩის სივრცემ და მწვანით შემოსილმა ჭადრის ხეივანმა უფრო მეტი სილაღე შემატა ახალგაზრდა მომღერალს.

ვის არ უყვარს გაზაფხულის სუნთქვა, პირველი ყვავილები, მხურვალე მზის სხივები, ხასხასა ფოთლების შარიშური... ოპერის თეატრის წინ გაშლილ პროსპექტზე, ღმერთკაცივით ყელმოღერებული, ნელი ნაბიჯით მოდიოდა უკვე ღრმად მოხუცებული მგოსანი აკაკი წერეთელი. სარაჯიშვილმა სწრაფად დაიხედა მხრებზე, მკერდზე, თითქოს თავისი თავი შეათვალიერა, რომ სახელოვან პოეტს საკადრისად წარსდგომოდა.

—ჩვენ ბულბულს სალამი, — შორიდანვე გაუღიმა აკაკიმ მომღერალს. მორჩილი ბავშვივით შედგა მგოსნის წინ ზრდილი და თავაზიანი სარაჯიშვილი. პოეტის გამოწვდილ ხელს მარდად შეაგება თავისი ხელი.

მე თქვენი ლექსების ერთი უბრალო მომღერალი ვარ,—ღიმილით მიუგო ვანომ.—საქართველოს ნამდვილი ბულბული კი თქვენა ბრძანდებით.

აკაკის იამა საზოგადოების მიერ ესოდენ განებივრებულ მომღერლისაგან ასეთი მოკრძალება. მკლავზე ხელი მოჰკიდა, თავი მისკენ გადახარა და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

—მაგრამ უკვე დაბერებული ბულბული, ვარდსა და იას მონატრებული. ასე არ არის, ყმაწვილო?—შეანათა თავისი შესანიშნავი ღიმილი მომღერალს.—მთელი ღამის განმავლობაში ნაგროვები ვარდის წვენი ყოველ დილით, ალბათ, თქვენთან მოაქვთ ბულბულებს, არა?—ალერსით გააგრძელა მგოსანმა,—ღმერთმანი, როცა მღერით, ვარდის ფურცლის ხავერდი გაქვთ ხმაში. გუშინ გრიშაშვილის საღამოზე ძალიან ვისიამოვნე. სიჭაბუკის გიჟმაჟი დღეები გამახსენა თქვენმა სიმღერამ.

ვანოს შავგვრემანი სახე სიხარულმა გააშუქა, ხუმრობა ხომ არ იყო, აკაკი წერეთელი აქებდა და ულოცავდა. მადლობის ნიშნად გულზე ხელი მიიდო და თავი მდაბლად დახარა.

—ყველაფერი ეს, ისევ და ისევ თქვენი ლექსების წყალობით,—მორიდებით შეეპასუხა სარაჯიშვილი მგოსანს,—თქვენ ისე სწერთ. რომ არ შეიძლება არ იმღერო. მარტო მე კი არა, მთელი საქართველო მღერის თქვენს ლექსებს,—სარაჯიშვილი უცებ დაჩუმდა, მგოსანს თვალი გაუსწორა, და თითქოს არ შეუძლია, რომ არა თქვასო, ისეთი ხმით მიმართა:

—და კიდევ ერთი ლექსი მიყვარს ძალიან, მართალია ის თქვენ კალამს არ ეკუთვნის, მაგრამ არ შეიძლება, რომ იგი თქვენც არ გიყვარდეთ. რამდენჯერ ვთხოვე ჩვენს კომპოზიტორებს, რომ ამ ლექსს მუსიკა დაუწერონ, მაგრამ რატომღაც ჯერჯერობით ჩქამი არ ისმის. მე მაინც ჩემებურად გულში ხშირად ვღიღინებ ხოლმე მას. და ხმადაბლა. თითქოს მღერისო, ისე წამოიწყო:

«რას მრისხანებ ჩემო ბედის ვარსკვლავო.
მაინც გეტრფი, თუმცა ხშირადა მკლავო».

უცებ შეჩერდა. მოხუც მგოსანს თვალებით მიუალერსა.

— შეგაწუხეთ, დაგღალეთ. არა?—მოიბოდიშა სარაჯიშვილმა.

— მერე. მერე. ყმაწვილო!—სთხოვა აკაკიმ.—ამ შუა ქუჩაზე ასე გულდაკოდილი გინდა დამტოვო?

ვანოს გაეღიმა და ასე ოდნავ გაღიმებულ ბაგეზე ვერცხლის ზარივით გაწკრიალდა.

«მოციმციმდი, მოდი, გამოიდარე,
შენგან ბნელი გული გამომიდარე»...

— ამ ღვთაებრივმა კრინმა, ალბათ. ბარათაშვილი საფლავში შესძრა.— თავისთვის ჩაილაპარაკა მგოსანმა.—გავა წლები და კომპოზიტორები ამ ლექსზე დასწერენ რომანსს. ალბათ, თქვენც იმღერებთ მას. მხოლოდ მოვესწრები კი «ვარდის ფურცლის ხავერდით» შერხეულ მის ნარნარს?

ორი დიდი ხელოვანის შეხვედრა და საუბარი შეუმჩნეველი არ დარჩათ გამვლელ-გამოვლელთ. მათ მახლობლად თვალცქრიალა ქალიშვილებს, ეგრედწოდებულ «სარაჯიშვილისტკებს» ბლომად მოეყარათ თავი. აკაკიმ სარაჯიშვილი მათკენ მიახედა და სიცილით უთხრა:

—ყმაწვილო! ასე ჩუმად ჩაიბულბულე და ხედავ, რამდენი ლამაზი მოციმციმდა. ეგ რომ შენებურად, ხმამაღლა შემოსძახო, მთელი საქართველოს კეკლუცები დაგეხვევიან თავზე. ალბათ, მუსიკასაც ამიტომ არ გიწერენ კომპოზიტორები.

ვანომ გვერდზე გახედა ქალიშვილებს. მგოსნის ჭაღარის ნათელი მისდგომოდა ეშხით სავსე მის სახეს. აკაკის ქებით შემკული, ლამაზმანებით გარშემორტყმული, თვითონაც ვარსკვლავივით ბრწყინავდა. ამ წუთში იგი ისეთი მომხიბლავი იყო, რომ სამშობლოს საკურთხეველზე სიყვარულით დამდნარ მოხუცი მგოსნის გულს კი არა, მტერსაც კი მოინადირებდა.

—ამ დღეებში მე და გრიშაშვილი,—თითქოს რაღაც უნდა ახაროსო ისე სთქვა ვანომ,—თქვენს ჭიათურაში მივდივართ, სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ კონცერტს ვმართავთ.

მგოსანი თვალმოუშორებლივ შესცქეროდა მოხდენილ ვაჟკაცს: იდგა იგი მხრებგაშლილი, შავი ხვეული თმა გაზაფხულის ანც ნიავს აქეთ-იქით მიმოეფანტა,

—სიამოვნებით მოგისმენთ, ყმაწვილო, არა მარტო ჩემი ხალხი, არამედ ჩემი სამშობლო მთებიც. ვწუხვარ, რომ იქ არ ვიქნები და ვერ დაგესწრებით, აბა თქვენ იცით, ახალგაზრდებო, დამიტკბეთ მწარე სიბერე!—ღიმილით უთხრა მგოსანმა, გამოემშვიდობა და ნელი ნაბიჯით გაყვა ქუჩას.

ქანდაკებასავით იდგა სარაჯიშვილი იმავე ადგილას და თვალს არ აშორებდა მოხუც მგოსანს. რომელმაც წინა დღით გრიშაშვილის საღამოზე ახალგაზრდული გატაცებით წარმოთქვა სიტყვა სიყვარულზე. ზეპირად წაიკითხა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი:—«სიყვარულო ძალსა შენსა», ბარათაშვილის «საყურე», გრიშაშვილის «შენ ხარ ღვთაება» და საკუთარი ლექსი:—«თვალად, ტანად». ახლაც, ამ მომხიბვლელ დილას, სულგანაბული უსმენდა უიღბლო პოეტის «ბედის ვარსკვლავის» მრისხანებას და შეყვარებული ჭაბუკივით ჩურჩულით იმეორებდა: «მოციმციმდი, მოდი, გამოიდარე, ნაპერწკლები ეშხისა მომაყარე».

ოპერის თეატრს არც კი იყო გაშორებული მგოსანი, რომ იგი მოულოდნელად შემობრუნდა, ერთხელ კიდევ გამოხედა ახალგაზრდა მომღერალს, გაუღიმა, ისე როგორც საყვარელ შვილს გაუღიმებს მამა და თავისებურად, აკაკისებურად ნელი ნაბიჯით განაგრძო გზა.

გამვლელები მოწიწებით აძლევდნენ სალამს მოხუც მგოსანს. რომლის ჭაღარა თმაზე დილის მზის სხივები დათინათინობდნენ.

ახლადშეფოთლილ ჭადრების ტოტებში ჩიტები ჟღურტულებდნენ. ყმაწვილივით შეხაროდა მგოსანი ჟუჟუნა დილას. გულში კი ბარათაშვილის უკვდავი ლექსი ციმციმებდა. რა ვუყოთ. რომ იგი ღრმად მოხუცი იყო. ისეთი გულიც ხომ არსებობს, რომელიც მუდამ იწვის მაგრამ არასოდეს არ იფერფლება, მაინც კელეპტარივით ანთია.

**მარგო თომაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გადაცემა მიჰყავს ქეთო ლანდიას

ყველა იცნობს და მაინც ყველამ არ იცის, როგორი იყო ქალიშვილობაში, როცა უყვარდა ლექსები. ყველა იცნობს და მხოლოდ ზოგმა იცის, რომ ისეთივე დარჩა, მისი ცხოვრების თითქმის ყოველი დღე იციან, «დილა მშვიდობისას» რომ აგებებს განთიადს.

საცეკვაოდ მუდამ მზად იყო. სიმღერას სხვებს ასწრებდა, დაამთავრებდა და ლექსს ჩაიკითხავდა—ახსოვთ.

ბევრი მეგობარი ჰყავდა, და მათგან ერთი, განუყრელი მეგობარი ქალი—ესეც იციან.

წუხილი და ფიქრი, ომის დღეებში გათენებული ღამეები და შინ გვიან დაბრუნება...

მეგობართან შევლა და ერთი ნაჩუქარი კამფეტი, მეგობრის შვილისათვის შენახული...

ყველა იცნობს და მაინც ყველამ არ იცის, ზოგიერთები რას ჰყვებიან:

* * *

იგი ჩვეულებრივია და არც მთლად ჩვეულებრივი. კონკურსზე ისე მივიდა, როგორც არ მიდიან საერთოდ—პირდაპირ თქვა: მიმიღეთ!

გამოსცადეს, მოეწონათ.

... რადიოდან ნაცნობი ხმა რომ მოესმა, დედას ეგონა შვილი დაბრუნდაო, მაგრამ შინ არავინ იყო.

— ნუთუ ის არის?—უკვირდა.

მერე იჯდა საკერავთან და შვილს ელოდა.

... შვილი კი ინსტიტუტისკენ რომ გარბოდა—ნატრობდა ლექტორმა არ შემასწროსო.

— მოვიდა,—წუნარდებოდნენ ჯგუფელები.

— დღეს კარგად ლაპარაკობდი.

— ნამდვილი დიქტორი ხარ!

ქეთო ფიქრობდა:

— რა ვიქნები საბოლოოდ, ინჟინერი თუ...

* * *

— საბოლოოდ ინჟინერი ხარ,—უთხრეს და მიულოცეს.

საპროექტოში ერთი მაგიდა დაუმატეს. საცხოვრებელი ბინის პროექტზე კიდევ ერთი თავი დაიხარა. ხაზავდა ის, ვინც ამ ბინაში შემსვლელთათვის ყოველ განთიადზე ამბობდა: «დილა მშვიდობისა!»

დილას ღამე ცვლიდა, გადიოდა წლები იგებოდა სახლები და ყველა ბინაში იგი შინაურივით შემოდიოდა.

ხან ყაზბეგის გმირების მწუხარება მოჰქონდა, ხან ქართული «იავნანას» სასწაული ძალის ამბავი, ხან დედებს შვილების მოვლას ასწავლიდა, ხან ქალაქს გვაცნობდა, ხან სოფელს.

რაზეც გვიამბობდა, თითქოს განცდილი ქონდა, ნახული. და თავისებური ხმით, ათასში რომ გამოარჩევ, ისე ყვებოდა გაჩაღებულ რთველზე, თითქოსდა იქ იყო.

... რთველში ბევრჯელ ყოფილა, ყურძენი დაუწურავს, სიმინდიც უტეხია. მერე ვენახის პირას დანთებულ კოცონთან ბავშვებს ლექსობანაში «გასჯიბრებია».

მასპინძლებს ერიდებოდათ სტუმრის—შინ მოისვენეთო. ის კი მათთან ერთად გვიანობამდე ცის ქვეშ იყო. თუ რომელიმე პატარას რული მოერეოდა აფხიზლებდა:

— ვიცეკვოთ!

— ეს ის არის, რადიოში რომ ლაპარაკობს,—ჩურჩულებდნენ თივაზე მიწოლილი ბალღები.

— ქეთო ლანდია?

— რა მხიარულია!

* * *

სადაც გამოჩნდება, გამხიარულდებიან—ეს გვაკლდა და მოვიდაო. ვერ წარმოუდგენიათ უმისოდ.

შინ თუ ეწვევით, არც იქ მოგაწყენთ. ახალი ბინა აქვს, მშვიდი და სუფთა. ეტყობა, კარგი დიასახლისია. გსიამოვნებთ, რომ ასეთია. იქ 11 წლის გიას ნახავთ, დედის დიდ თაყვანისმცემელს. თუმც დიქტორობაზე სულაც არ ფიქრობს, მაგრამ უყვარს, როცა მის ხმას ისმენს.

შინ-თუ ეწვევით, არ მოგაწყენთ. საქმეც რომ ჰქონდეს, ყველაფერს თავს დაანებებს და მთელ დროს შემოგწირავთ.

მერე რა, რომ წინ წერილი უდევს და პასუხს ელიან. ეკითხებიან:

«დეიდა ქეთო, მომწერეთ, როგორ გავხდე დიქტორი?».

კალამს გადასდებს და თქვენ შეგეგებებათ. პასუხი ხომ მოფიქრებული აქვს:

«უნდა გქონდეს სასიამოვნო, რადიოგენური ხმა. შეგეძლოს ტექსტის სწრაფი გაგება, მსმენელისათვის მისი სწორი მიწოდება, ალღოიანი კითხვა, გქონდეს მრავალმხრივი განათლება და რაც მთავარია, საქმე გიყვარდეს».

ამას შეიძლება დაუმატოს—როგორ გამოვიდა რადიოთი სულ პირველად, 27 წლის წინათ. დეიდა ქეთო სიტყვა ძუნწი არ არის.

მასთან ყოფნა არ მოგწყინდებათ. უსმენთ და გინდათ ილაპარაკოს დაუსრულებლად. და ამ დროს თუ იგი რადიოდანაც შეგესიტყვათ, ნუ გაიოცებთ—ეს ინსცენირება ფირზე ძველი ჩაწერილია.

«ავტორის ტექსტს კითხულობდა ქეთო ლანდია»

**ლია კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისფერი ნილოსის სათავეებთან

ჩანახატები ავტორისა

**მიმდინარე წლის დამდეგს ეთიოპ ქალთა საქველმოქმედო ასოციაციის მიწვევით ეთიოპიაში გაემგზავრა საბჭოთა ქალების კომიტეტის დელეგაცია. ვბეჭდავთ დელეგაციის წევრის ნინო ჯავახიშვილის წერილს ეთიოპიაში მიღებულ შთაბეჭდილებებზე.**

საბჭოთა თვითმფრინავი შუილით მიაპობს ჰაერს. ქვემოთ თითქოს ზღვა გაწოლილა, ზურმუხტის ფერად მოლივლივე—ეს ნილოსის დელტაა, მის თავზე მივფრინავთ. ზურმუხტის ფერს ყვითელი ფერის ტალღები ცვლიან. ეს აფრიკის ვრცელი უდაბნოა... ცოტა კიდევ და კაიროში ვეშვებით. ვემშვიდობებით საბჭოთა მფრინავებს და ეთიოპური კომპანიის თვითმფრინავით ადის-აბებისაკენ ვიღებთ კურსს. აი «მუდმივი გაზაფხულის» ქვეყანა—ეთიოპია, მისი დედაქალაქი—«ახალი ყვავილი,» როგორც მას ეთიოპები ეძახიან.

ევკალიპტების ჩრდილში გაშლილა ადის-აბება. მეფე მენელიკ მეორეს დაუარსებია იგი და აქვე გადმოუტანია თავისი ტახტი გონდარიდან. ახალგაზრდა ქალაქია ადის-აბება, მაგრამ გაოცებთ კონტრასტებით—თანამედროვე დასავლეთური ყაიდის შენობები, გვერდით ეთიოპური ქოხები, ე. წ. ტუკელები, მრგვალი ან ოთხკუთხოვანნი, სარებისაგან შეკრული კედლებით, თიხით შელესილნი და წალმით გადახურულნი. ქოხებს მხოლოდ შესასვლელი აქვს, ზოგს სარკმელიც. მაგრამ უკარო და უმინოა. არც საკვამლე მილი ჩანს. როცა ცეცხლს ანთებენ, ბოლი პირდაპირ სახურავში ადის, ან შესასვლელიდან გამოდის და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს მიდამოს ხანძარი უკიდია...

ჩვენი დელეგაცია ეთიოპ ქალთა საქველმოქმედო ასოციაციას ეწვია. ორი კვირის მანძილზე ვეცნობოდით ამ საინტერესო ქვეყანას, მის კულტურას, ხალხს.

თვალში გეცემათ ეკლესიების სიმრავლე. თუმცა ეს არც საკვირველია. ეთიოპია ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანაა აფრიკაში და მსოფლიოში პირველი. რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ რელიგიად აღიარა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამან ვერ იხსნა ეს ქვეყანა ერთმორწმუნე იტალიის ორგზის აგრესიისაგან.

ეთიოპია მდიდარია ნოყიერი მიწებით, წიაღისეულით, ჰიდროენერგიის რესურსებით, ტყეებით. აქ წელიწადში მარცვლეულის სამი მოსავალი მოდის. მშვენივრად ხარობს ყავის ხე, ათასგვარი ხეხილი, ვენახი, ერთი სიტყვით, ქვეყანას აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. სამწუხაროდ ერთიც და მეორეც ჯერჯერობით ძალზე პრიმიტიულ მდგომარეობაშია.

გზები ცოტაა, რაც არის, ისიც უმთავრესად კეთილმოუწყობელია. ჩვენ ხშირად გვიხდებოდა თვითმფრინავით მგზავრობა და ზემოდან განსაკუთრებით ნათლად ჩანდა ამ ნოყიერი მიწის რა უმნიშვნელო ნაწილია ათვისებული და დამუშავებული.

თანამედროვე ეთიოპიის წინაშე დიდი პრობლემები დგას ქვეყნის აღორძინების და წინსვლის საქმეში. მათ შორის უმთავრესია სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა. ეთიოპიაში წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი ძალზე მცირეა. მთავრობა ყოველნაირად ცდილობს სწავლა-განათლების შეტანას მოსახლეობის ფართო მასებში. ამ საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებს ქალთა საქველმოქმედო ასოციაცია. იგი შეიქმნა 1935 წელს იტალია-აბისინიის ომის პერიოდში მეფის ასულის ცახაის ინიციატივით და მაშინ მიზნად ისახავდა დახმარების აღმოჩენას დაჭრილთა და დაბომბილთათვის, აგრეთვე შესახვევი მასალის დამზადებას. დამარცხების შემდეგ ასოციაციამ შეწყვიტა მუშაობა ეთიოპიაში. თუმცა ემიგრაციაში მყოფი ასოციაციის წევრები დიდ დახმარებას უწევდნენ ლტოლვილებს. იტალიის ოკუპაციისაგან ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ ასოციაციამ თავისი საქმიანობა განაახლა. ახლა იგი საკმარისად მძლავრი ორგანიზაციაა. ადის-აბებას ათივე რაიონში ასოციაციას აქვს თავისი სკოლები. სადაც 15—50 წლის ასაკის ქალები უფასოდ სწავლობენ წერა-კითხვას—ამხარულს (ეთიოპიის სახელმწიფოებრივი ენა) და ინგლისურს. სანიტარიის და ჰიგიენის ელემენტებს. ჭრა-კერვას და მეოჯახეობას. ამ უკანასკნელს დიდი ყურადღება ექცევა ქალთა ყველა სკოლაში.

ეთიოპიაში ორი საფეხურის სკოლებია: რვაწლიანი, რომელიც საერთო საგანმანათლებლო ხასიათისაა და მეორე საფეხურისა, რომელშიც კიდევ 4 წელი სწავლობენ ახალგაზრდები და უკვე ამათუიმ სპეციალობას იღებენ. თუმცა პოლიტექნიზაციის ელემენტები უკვე პირველი საფეხურის სკოლებშიც შეიმჩნევა. ასეთი სკოლები ქალაქებშია. სოფლებში კი ჩვენ ვნახეთ დაწყებითი სკოლა, აქ მეცადინეობა ხის ჩრდილში მიმდინარეობს და ამიტომ სკოლასაც ხისქვეშ სკოლას ეძახიან.

დაწყებით სკოლებში მხოლოდ ამხარულსა და საეკლესიო ენას—გიზს ასწავლიან. ამ ძველ ენაზე ახლა აქ აღარავინ ლაპარაკობს, მაგრამ ასწავლიან იმიტომ, რომ ლოცვები გაიგონ.

ადის-აბებაში არის ერთი საუნივერსიტეტო კოლეჯიც, რომელშიც ეთიოპიისა და აფრიკის სხვა ქვეყნების ახალგაზრდები სახელმწიფო ხარჯზე სწავლობენ, ევროპელები კი ფულს იხდიან. აქ ისინი ეუფლებიან სხვადასხვა სპეციალობას. კოლეჯის დამთავრების შემდეგ მათ შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ. საუნივერსიტეტო კოლეჯში 40 ქალი სწავლობს, მათგან 32 საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. სპეციალობის გარდა სტუდენტი ქალები სწავლობენ მეოჯახეობას, კულინარიას და ჰიგიენას.

კოლეჯს აქვს კარგი წიგნთსაცავი და მუზეუმი, ამ უკანასკნელში გამოფენილია ეთიოპიის ფაუნის წარმომადგენლები. საინტერესოა მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილებაც, რომელშიც თითქმის ყველა საოჯახო ნივთია თავმოყრილი.

კოლეჯის პედაგოგიური პერსონალი ძირითადად უცხოელებისაგან შედგება, 50 მასწავლებლიდან მხოლოდ 10-ია ეთიოპელი. საერთოდ ეთიოპური სკოლები ეროვნული კადრების დიდ ნაკლებობას განიცდის. ეროვნული კადრების სიმცირე განაპირობებს სწავლებას და მთელი საქმის წარმოებას ორ ენაზე: ამხარულსა და ინგლისურზე. თუმცა პარლამენტის სხდომა, რომელსაც ჩვენ დავესწარით, ამხარულად მიმდინარეობდა.

მეორე დიდი პრობლემა ეთიოპიაში სახალხო ჯანმრთელობის დაცვაა. იგი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული მოსახლეობის განათლების დონესთან და მთელ რიგ ზნე-ჩვეულებებთან, რომლებიც ჯერ კიდევ ძალიან მტკიცეა ხალხში.

ეთიოპიის 20-მილიონიან მოსახლეობას სულ 2.000 ექიმი ემსახურება, ამათგან ეთიოპელი მხოლოდ ექვსია. ეს ცნობაც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ წარმოვიდგინოთ ფართო მასების ჯანმრთელობის მდგომარეობა.

თბილი და ნოტიო ჰავა, პრიმიტიული საცხოვრებელი, მჭიდრო კონტაქტი ყოფაცხოვრებაში—ყველაფერი ეს დიდად უწყობს ხელს ინფექციის გავრცელებას. ჯანმრთელობის დაცვა ეთიოპიის ხელისუფლების ერთერთ ძირითად ამოცანად არის გადაქცეული. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამედიცინო კადრების მომზადებას. დიდ საავადმყოფოებთან შექმნილია სამედიცინო კოლეჯები, რომლებშიც ეთიოპი



ახალგაზრდები ექთანის კვალიფიკაციას იძენენ. მათ გზავნიან რაიონულ ცენტრებში და დიდ სოფლებში, აქ ისინი ატარებენ როგორც სამკურნალო მუშაობას, აგრეთვე სანიტარული განათლება შეაქვთ მოსახლეობაში.

ტბა ტინანას მახლობლად, ცისფერი ნილოსის თვალწარმტაც სათავეებთან, ჩვენ გვაჩვენეს ერთი ასეთი რაიონული ჯანდაცვის პუნქტი, რომელსაც ეთიოპიაში ჯანდაცვის ცენტრს უწოდებენ. აქ მხოლოდ ახალგაზრდები—სამედიცინო კოლეჯდამთავრებულები მუშაობენ. ჯანდაცვის პუნქტი მოთავსებულია რაიონის ცენტრში—კოლა დებაში, რომელიც მეღვინეობით არის განთქმული. ბაზრობის დროს აქ უამრავი ხალხი ჩამოდის სხვადასხვა რაიონებიდან ღვინის საყიდლად. ვაჭრობასთან ერთად ადგილობრივი ქალები მეძავეობას ეწევიან. ესეც შემოსავლის წყაროა, სხვათაშორის, სრულიად ლეგალური და დაკანონებული. აღნიშნულის გამო ადგილობრივი მოსახლეობა ვენერიული სნეულებით არის დაავადებული და ჯანდაცვის ცენტრს დიდი სამუშაო აქვს. გარდა მკურნალობისა აქ მომუშავე პერსონალი მოსახლეობას ასწავლის სასმელი წყლის სუფთად დაცვას, საპირფარეშოების მოწყობას, საცხოვრებლის დაგეგმვას და განაწილებას ისე, რომ პირუტყვი, სურსათი, ჭურჭელი ერთმანეთში არ აირიოს. ამ მიზნით ცენტრის ტერიტორიაზე სამაგალითო ტუკელიც კი არის აგებული.

ომის შემდეგ, უფრო სწორად იტალიის ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ, ეთიოპიის მრეწველობას გამოცოცხლება დაეტყო. მართალია მცირე მასშტაბით, მაგრამ თითქმის ყველა დარგში შეიმჩნევა აღორძინების ელემენტები (ბამბის სართავ-საქსოვი ფაბრიკა, შაქრის ქარხანა, ცემენტის ქარხანა, ამბოს მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, ღვინის წარმოება და სხვ.). მრეწველობის განვითარებას თან ახლავს ქალაქების ზრდა.

ეთიოპიისათვის ერთერთი მწვავე საკითხია უპატრონო ბავშვები. მათი რიცხვის ზრდა ცხადია, პირველ რიგში ომმა გამოიწვია. სოფლებში ეს საკითხი ასე თუ ისე იოლად გვარდება, იქ უდედმამო ბავშვებს ჩვეულებრივ ნათესავები პატრონობენ, ქალაქად კი ეს მოვლენა პრობლემად იქცა. ადის-აბებაში გვიჩვენეს ბავშვთა სახლი, რომელიც ქალთა ასოციაციის მიერ არის დაარსებული. აქ სამიდან თხუთმეტი წლის ასაკამდე ასზე მეტი ეთიოპი ბავშვია თავმოყრილი. სასკოლო ასაკის ყველა აღსაზრდელი სწავლობს, უფროსები რაიმე ხელობას ეუფლებიან. თხუთმეტი წლის შესრულების შემდეგ კი ქალთა ასოციაცია თვითონ ზრუნავს მათი სამუშაოზე მოწყობისათვის. თუ საბავშვო სახლში აღზრდილ ქალიშვილს საქმრო გამოუჩნდება, მას ასოციაცია ათხოვებს. ქორწილს უხდის.

ბინას მოზრდილები თვითონვე ალაგებენ, თვითონ ირეცხავენ ტანისამოსს და ლოგინის თეთრეულს. პატარებს კი უფროსები და აღმზრდელები უვლიან.

საბავშვო სახლს ეთიოპური სამზარეულო აქვს, სადაც ჩვეულებრივ ეროვნულ კერძებს ამზადებენ, უბრალოს, მაგრამ ნოყიერს. ქალთა ასოციაციის მდივანმა ლულიე ტესფაიმ სწორად შენიშნა: «ჩვენ არ გვაქვს საშუალება განსაკუთრებული კომფორტი შევუქმნათ უპატრონო ბავშვებს, ვაკეთებთ იმას, რაც შეგვიძლია. მაგრამ ისიც კარგია, რომ მათ აქვთ თავშესაფარი, საჭმელი და სწავლის საშუალება». ეს ნამდვილად დიდი მიღწევაა ეთიოპიის სინამდვილეში. საბავშვო სახლის აღსაზრდელები გაცილებით უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე ბევრი სხვა ეთიოპი ბავშვი, რომლებიც მოკლებულნი არიან ჰიგიენის ელემენტალურ პირობებს და სწავლა-განათლებას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დღეს აფრიკის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ეროვნული დამოუკიდებლობისა და პროგრესისაკენ მისწრაფებაში ქალი ძალიან დიდ როლს ასრულებს. ეთიოპიაში ამჟამად ქალები თანასწორი პოლიტიკური უფლებებით სარგებლობენ. ამ ბოლო წლებში მათ ორჯერ მიიღეს მონაწილეობა პარლამენტის არჩევნებში. პარლამენტის დეპუტატთა შორის ორი ქალია: კიწელა ბელაჩეუ და სინედა გებრუ, ეს უკანასკნელი წარსული მოწვევის პარლამენტში თავმჯდომარის მოადგილე იყო. ორივე ეს მოწინავე ქალი ნამყოფია საბჭოთა კავშირში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მაჰმადიანური აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ეთიოპი ქალი ოჯახის უფლებამოსილი წევრია. თუმცა განქორწინების საკითხში უპირატესობა მამაკაცს აქვს.

ეთიოპიაში ყოფნის დროს ჩვენ შევხვდით სუდანელ ქალთა კავშირის თავმჯდომარეს ხალიდა ზახირს და ამ კავშირის მდივანს ფატმა იბრაგიმს. მათ ბევრი რამ საინტერესო გვიამბეს თავიანთი მუშაობის შესახებ ქალთა შორის. სუდანელ ქალთა კავშირის წინაშე იგივე პრობლემები დგას, რაც ეთიოპ ქალთა ასოციაციის წინაშე—ქალთა სწავლა-განათლება, მათში ჰიგიენის ელემენტარული ჩვევების დანერგვა, აგრეთვე ხელსაქმის შესწავლა. მუშაობის მეთოდები თითქმის ერთნაირია. მაგრამ ყველაფერი ეს ქველმოქმედების საფუძველზე კეთდება.

ეთიოპიაში ჩვენ ვნახეთ კამერუნის გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი ლიდერი. იგი განსაკუთრებული აღტაცებით ლაპარაკობდა კამერუნელ ქალებზე, რომლებიც ღამე, სინათლის შუქზე ასწავლიან ანბანს კამერუნელ ჯარისკაცებს.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამ დაძაბულ მომენტში აფრიკის ქვეყნის ქალებმა თავიანთი საპატიო ადგილი იპოვეს საერთო-სახალხო საქმეში.

წამოსვლის წინ საბჭოთა ქალების დელეგაცია მიიღო ეთიოპიის ნეგუსმა (იმპერატორი) ჰაილე სალასიე პირველმა. იგი დაინტერესდა ჩვენი შთაბეჭდილებებით მათ ქვეყანაზე და ისიც აღნიშნა, რომ ეთიოპი ქალები საბჭოთა კავშირში დიდი კომფორტით იყვნენ მიღებული. ნეგუსმა დელეგაციის წევრებს ოქროს დიდი მედლები გვიბოძა.

ჩვენ დავუმეგობრდით ეთიოპ ქალებს და გადავწყვიტეთ გავაგრძელოთ ეს მეგობრობა ჩვენს ქვეყნებს შორის უკეთესი ურთიერთგაგებისათვის.

საბჭოთა ქალების კომიტეტის სახელით საბჭოთა კავშირში მოვიპატიჟეთ ეთიოპ ქალთა საქველმოქმედო ასოციაციის დელეგაცია.

იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში კვლავ შევხვდებით ჩვენს მეგობრებს შორეული ქვეყნიდან.

**ნინო ჯავახიშვილი,**

საბჭოთა ქ.ლების კომიტეტის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქ. გოგიაშვილი

# დღეობა



კახამ ოცდახუთმანეთიანი მაგრად ჩაბღუჯა, დაფიქრდა და სთქვა:

— ამით ხვალ მალხაზის დღეობას მოვილევ, მაგრამ დანარჩენი?

— რა დანარჩენი?—შეჰკივლა დედამ.

— როგორ თუ რა? ზეგ ნუგზარის დღეობაა, მაზეგ ლალის, შემდეგ იამზესი, შემდეგ... არც ერთზე არ მითხრა უარი, თორემ სკოლაში არ წავალ!

— რაო, რაო? არა, ერთი გამაგებინე, რამდენი მოსწავლეა სულ შენს კლასში?

— ოცდაცხრამეტი.

— ჰა?—აღმოხდა დედას... — ოცდაცხრამეტი დღეობა?

— დიახ.

— ყოველ წელს?

— მერე რა!

— ბიჭო, ნუ გადამრიე! ვაიმე, ამივარდა თავში... მიშველეთ!—და გულშეწუხებული დედა სავარძელში ჩაესვენა.

* * *

საქხილბოსტანმარაგგასაღების უმცროს ბუხჰალტერთან ტრესტის მთავარი ბუხჰალტერი შევიდა:

— გამარჯობა, ნიკო!

— ოჰ, ძვირფას ეპიფანეს გაუმარჯოს!

— რას ჩამოგიშვია ცხვირი, ბიჭო, რა თავპირი ჩამოგტირის?

— ახ, არა, სრულიადაც არა! რაშია საქმე, ეპიფან ჭიჭიკოვიჩ. ტყუილუბრალოდ არ შემოივლიდით აქ.

— მართალია... ჰო და, თუ კაცური კაცი და პურმარილიანიც ხარ, ახლა გამოჩნდება.

— შენი ხმალი და ჩემი კისერი... მერე? ჭიჭიკოვიჩ, რაღაც ტანი მიგრძნობს, პურის ჭამა ეწყობა სადღაც...

— პურის ჭამა და მერე როგორი! აბა, ცუდ საქმეზე მოვიდოდი ახლა შენთან?

— შენს პირს შაქარი!...

— ხო და, საქმეც მანდ არის: ზეგ ტრესტის მმართველის ცოლის აგრაფინა მიხაილოვნას დაბადების დღეა.

— მერე?

— მერე და ჩამოყაჭე ორასი მანეთი!

— ორასი მანეთი რა ამბავია! ხომ არ ემარხავთ?

— სულელო! ეს დამარხვაზე მეტს რომ უდრის აქამდე არ იცი? მალე! მეჩქარება... ჰა, ნუ გებლანდება ხელი, ჩაიყავი მაგ ჯიბეში, რისი გეშინია...

— არ გადავიხდი და ვიცი რასაც მიზამთ: ხვალვე ჩაუკაკლავ ტრესტის მმართველს აპოლონ პოლიაქტოვიჩს და მერე ჰაიდა, მოგჭამა ნიკამ ჭირი... დამპალ კიტრივით ჩამომწერთ...

— მალე, მალე, მალე, თუ ჩამოწერა არ გინდა...

— ჯანდაბას თქვენი თავი! —ჩაილაპარაკა ნიკომ, მოსულს ასიანები გაუწოდა და ხმაჩახრეწილმა ძლივს უთხრა:—აჰა!

ეპიფანეს მადლობაც არ უთქვამს. ელვასავით გაჰქრა. ნიკომ ჯიბის დავთარი ამოიღო, გადაშალა, ჩანაწერებს რაღაც მიამატა, იანგარიშა და შემდეგ ხმამაღლა ამოიკითხა:

### 1959 წელი

3/III. ტრესტის მმართველის სიდედრის გვირგვინი—100 მან.

5/III. მთავარი ბუხჰალტრის შვილიშვილის დაბადება—120 მან.

8/III. საჩუქარი ქალებს—100 მან.

14/IV. მაღაზიის დირექტორის ქალიშვილის გათხოვება—150 მან.

15/IV. ეპიფანე ჭიჭიკოვიჩის სიძის ქელეხი რესტორანში—180 მან.

17/V. პეტრე სვირელის შემოქმედებითი საღამო—100 მან.

21/V. აგრაფინა მიხაილოვნას დღეობა—200 მან

ს უ ლ: 950 მან.

ჯიბის დავთარი დახურა, ძირს დაახეთქა და თან ბოღმით სთქვა:

— ჰაი, დედასა! ჩემი ცოლი ქრისტინე, როდესაც სატრფო იყო, რა სიხარულით იღებდა ჩემგან: ყვავილს, ლექსების ალბომს და გუდაპერჩის სავარცხელს... ამათ კი დამაქციეს, ვალებში ჩამაგდეს. ვაიმე, ამივარდა თავში!..

* * *

— გამარჯობა, თამარ!..

— ჩემს ლიზიკოს სიცოცხლე!

მეგობრები ერთძახეთს გადაეხვივნენ.

— აბა, გისმენ, რისთვის დამიბარე?—კითხა ლიზამ.

— ლიზიკო, შენ შემოგევლე! მე და შენ ხომ ბავშვობის მეგობრები ვართ?

— ჰო... მერე?

— თვრამეტში ჩემი დაბადების დღეა...

— არ მახსოვდა...

— შენ უნდა დამეხმარო ამ საქმეში. შენებურად უნდა დატრიალდე სამსახურში...

— ჯავრი ნუ გაქვს. მაგ საქმეში გამოცდილი ვარ, ჯარასავით დავტრიალდები. ყველას ვეტყვი. არავის მოვეშვები...

— ეს ყველაფერი შენს მარიფათზეა, უნდა ეცადო, ისეთი საჩუქრები მომივიდეს, რომელიც მე არა მაქვს...

და მეგობრები დაშორდნენ ერთმანეთს.

ჯარასავით დატრიალდა ლიზიკო და მისმა მარიფათმა მართლაც მშვენიერი შედეგი გამოიღო...

...ჩინებული ქეიფის შემდეგ:

— გესმის, ლიზიკო? ყველაფერი ვიანგარიშე. ვახშამი, გოგო, სულ 1.200 მანეთი დამიჯდა. ახლა კი შევაჯამოთ, რა გვრჩება შემოსავალი: 3 ბროლის საყვავილე, 2 საპუდრე, 2 წყვილი საყურე, 1 წყვილი გრაფინი სასმელისა 6 ჭიქით, 4 «დუხი», 2 მაჯის საათი სკოლის ამხანაგებისაგან, 1 მაღვიძარა საათი, 6 ფინჯანი ჩაიდნით და საშაქრით ყავისათვის 2 ჭიქების ჩასადგმელი, ბროლის გრაფინი წყლისა თავისი თეფშით და ჭიქით, 3 წყვილი ძვირფასი წინდა, ყელსახვევი მირინოსისა...

თვლის და თვლის თამარი...

ლიზიკო კი ფიქრობს: მალე დადგება ივნისი, მოვა ჩემი დაბადების დღე, მეც გავშლი დიდ სუფრას, მოვიწვევ ყველას, მომიტანენ საჩუქრებს... თამარ საჩუქრებს!.. და გულშეღონებული თამარს მიეყრდნო.

* * *

ჩვენს შორის დარჩეს და ყველაფერი კი ამ დღეობების ბრალია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სემინარი მშობლებისათვის

## ბავშვის ნერვიულობის ზოგიერთი მიზეზი

ბავშვის ნერვიულობის გამომწვევი მიზეზი მრავალგვარია. იგი შეიძლება წარმოიშვას როგორც ბავშვის დაბადებამდე, ი'ვე დაბადების შემდეგ.

პირველი რიგის მიზეზებიდან უნდა აღინიშნოს მშობლების დაავადება ალკოჰოლიზმით, სიფილისით, ტუბერკულოზით ნაყოფის ჩასახვისა და მუცლადყოფნის პერიოდში, ორსულობის დროს დედის მიერ გადატანილი ინფექციური დაავადებანი, ფიზიკური ტრავმები და ღრმა განცდები. ნაყოფის ნერვული სისტემის განვითარებაზე მეტად ცუდად მოქმედებს, აგრეთვე, ორსულობის შესაწყვეტად ხმარებული სხვადასხვა საშუალებანი. ხშირად ასეთი საშუალებებით ქალი მიზანს ვერ აღწევს, ბავშვის ნერვულ სისტემას კი დიდ ზიანს აყენებს.

მეორე რიგის მიზეზებიდან, პირველყოვლისა, აღსანიშნავია სამშობიარო ტრავმები, ბავშვის მიერ ნაადრევ ასაკში გადატანილი ინფექციური დაავადებანი (განსაკუთრებით ტვინის ანთება), ფიზიკური ტრავმები და ძლიერი განცდები.

ბავშვის ნერვიულობის მიზეზია, აგრეთვე, არასწორი აღზრდა. ჩვენი საუბრის ძირითად მიზანს წარმოადგენს უფრო დაწვრილებით შევეხოთ ამ საკითხს.

ზოგიერთი მშობელი ბავშვის ფსიქიკური და ფიზიკური ძალების დაზოგვის მიზნით იჩენს ზედმეტ მზრუნველობას, რის შედეგადაც ბავშვი შეიძლება გაიზარდოს უსუსური, გაუბედავი, უინიციატივო. ასეთ პირობებში გაზრდილი ბავშვი წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ხდება ნერვიული.

შეუწყნარებელია, როცა ოჯახი ბავშვს უვითარებს ეგოიზმს, ზედმეტ თავმოყვარეობას. ბავშვის მუდმივი შექება, ხაზის გასმა, რომ ის სხვებზე კარგია, რომ მას დიდი მომავალი აქვს და სხვ. იწვევს როგორც ხასიათის ანომალიებს, ისე ნერვიულ მოვლენებს.

არც ის არის სწორი, როდესაც მშობლები მხოლოდ ბავშვის ქცევის უარყოფით მხარეს აღნიშნავენ. საჭიროა შენიშნულ იქნას ბავშვის მოქმედების დადებითი მხარეებიც და შეიქმნას პირობები მათი შემდგომი გაღრმავებისა და განვითარებისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს უფროსების ტონს, განსაკუთრებით იმ ბავშვების მიმართ, რომელთაც ეტყობათ ნერვიულობის ნიშნები. ისინი უფრო მეტად განიცდიან ტონს, ვიდრე სიტყვების მნიშვნელობას. ამიტომ დაუშვებელია მყვირალა, უხეში და აღგზნებული ტონით მიმართვა.

არავითარ შემთხვევაში არ უხდა გამოვიყენოთ აღზრდის მკაცრი მეთოდი. ფიზიკური დასჯა. ფიზიკური დასჯის შემთხვევაში სუსტი ბავშვი ავლენს შიშის განცდებს. იწყებს ტირილს. გულში იხვევს წყენას. შედარებით ძლიერი ბავშვი კი ამ შემთხვევაში გორაობს იატაკზე. იკბინება. იკაწრება და სხვა. ე. ი. ძალადობაზე ძალადობით პასუხობს.

სიმკაცრე გულისხმობს არა ბავშვის ფიზიკურ დასჯას არამედ მომთხოვნელობას. თავშეკავებულ. დინჯ ტონს. აუჩქარებლობას. იმ ბავშვებს. რომელთაც მშობლები ფიზიკურად სჯიან. ხშირად უფრთხებათ ძილი, სჩემდებათ ღამის შიში და მრავალი სხვა ნერვული მოვლენები. ასეთი ბავშვები ეჩვევიან. აგრეთვე, სიცრუეს. ორაგულწრფელობას.

მაგალითად, თორმეტი წლის თამრიკომ დაკარგა უფროსი დის ყელსახვევი. ამის გამო ნასვამმა მამამ თამრიკო ფიზიკურად დასაჯა. მეორე დღეს მამის დაბრუნების დროისათვის თამრიკო სახლში ვერ ჩერდებოდა, ეშინოდა. თხოვდა დედას მიეცა მეზობელთან დაძინების ნება. მამა გვიან დაბრუნდა, მოიკითხა შვილი, დაიწყო ძებნა, ყვირილი. მეზობელთან მყოფი თამრიკო შეშინდა და მას შემდეგ დასჩემდა შიში. მოწყენილობა, განმარტოება. საკმარისი იყო გაეგო მამის ან სხვისი ხმამაღალი ლაპარაკი და ყვირილი, რომ დასწყებოდა ეგრეთწოდებული ისტერიული გულყრები (მთელი სხეულის კანკალი, ჰაერის უკმარობა, ყელში მოჭერის შეგრძნება, შემდეგ მოდუნება, რამდენიმე წუთით გონების დაბინდვა).

ბავშვებზე მეტად ცუდად მოქმედებს მშობელთა შორის ერთიანობის უქონლობა მათდამი დამოკიდებულების საკითხში. მაგალითად, მამა მეტად მკაცრია, დედა კი ზედმეტად ლმობიერი, ანდა ბავშვის აღზრდაში მშობლები ატარებენ ერთ ხაზს, ბებია კი მეორეს და სხვ. ასევე უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ნერვულ სისტემაზე უფროსების მხრივ დამოკიდებულების ხშირი ცვალებადობა: დღეს ერთი მოთხოვნილებანი, ხვალ—მეორე, ზოგჯერ ალერსიანი მიმართვა, სულ მალე—გაბრაზება, ყვირილი. ასეთ არათანაბარ დამოკიდებულებას უფრო ვხვდებით იმ ოჯახებში, სადაც თვითონ დიდები არ უწევენ კონტროლს თავიანთ ქცევას.

ზოგიერთი მშობელი, რომ უზრუნველჰყოს თავისთვის მყუდროება და სიწყნარე, უკრძალავს ბავშვს მოძრაობას, თამაშს, სიცილს, გართობას. ე. ი. ყველაფერს. რაც კი წარმოადგენს ბავშვის აქტივობის ბუნებრივ გამოვლინებას, აიძულებს ბავშვს იყოს თავშეკავებული.

ასეთი აკრძალვა პატარებში შედარებით უმტკივნეულოდ ხორციელდება, მოზრდილებისათვის კი საჭიროა აკრძალვის მიზეზების ახსნა-განმარტება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება აღმოცენდეს კონფლიქტი ბავშვისა და მშობლის სურვილს შორის. რასაც უმეტესად მთელი რიგი ნერვული მოვლენები მოჰყვება.

მიზანშეუწონელია. როცა მშობლები ბავშვის ავადმყოფობაზე. მის ნერვიულობაზე ბევრს ლაპარაკობენ და ქმნიან ბავშვის გარშემო არაჯანსაღ ატმოსფეროს. ასეთ პირობებში შეიძლება ბავშვს მართლაც მოეჩვენოს. რომ იგი დაავადებულია და სალი შეგრძნებებიც კი თავისებური გადამუშავების გამო ჩასთვალოს ავადმყოფურად. აქედან გამომდინარეობს მყარი ნერვული მოვლენები—იპოქონდრია და სხვ.

არასასურველია, აგრეთვე. ბავშვის ზედმეტად ყოფნა უფროსებთან, რადგან მიმბაძველობის უნარის გამო იგი ნაადრევად ითვისებს მოზრდილთა ჩვევებს. ასეთ პირობებში არ არის გამორიცხული ბავშვის ტრავმირების შესაძლებლობაც.

კინოში ბავშვის უსისტემოდ და უყურადღებოდ სიარულს ასევე შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი შედეგები. მაგალითად, ცხრა წლის ანდრომ კინოსურათ «ფატიმას» ნახვის შემდეგ ღამით დიდხანს ვერ დაიძინა, შუაღამისას შიშით გამოეღვიძა, ითხოვდა შველას, ხმამაღლა ტიროდა. ტირილში სჩანდა, რომ ბავშვი განიცდიდა სურათის ცალკეულ ეპიზოდებს. დაეწყო თავის უნებლიე კანკალი, რომელიც უძლიერდებოდა სულ მცირე ხმაურზედაც კი. ბავშვის ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა რამოდენიმე დღე და იგი მხოლოდ ფსიქოთერაპიული მკურნალობის შემდეგ განიკურნა. უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა სურათის ნახვა ბავშვისათვის მიზანშეწონილი არ არის. ღრმა ფსიქოლოგიური განცდები, რასაც იგი კინოში ნახულობს, უარყოფითად მოქმედებს მის ნერვულ სისტემაზე.

არა მარტო ძლიერი უარყოფითი გაღიზიანებანი არღვევენ ბავშვის ფსიქონერვულ წონასწორობას, არამედ სასიამოვნო შინაარსის მკვეთრი განცდებიც კი ხშირად იწვევენ ავადმყოფურ მოვლენებს.

გვახსოვდეს, რომ სწორი აღზრდა ბავშვის ნერვიულობის თავიდან აცილების ერთერთი ძირითადი პირობაა.

**მ. მესტიაშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ბავშვის ფიზიკური განვითარების შესახებ

ბავშვის ფიზიკურ განვითარებას ბავშვთა ბაგა, ბაღი და სკოლა არეგულირებენ, მაგრამ უმეტეს დროს ბავშვი მაინც ოჯახში ატარებს და მშობლებს ევალებათ იზრუნონ მისი ფიზიკური წრთობისათვის. სამწუხაროდ, ბევრი ხელაღებით უარყოფს ბავშვის ფიზიკური განვითარების ისეთ ძვირფას საშუალებებს, როგორიცაა სასარგებლო შრომითი საქმიანობა, ჰიგიენური ჩვევების შეთვისება, სისტემატური ფიზიკური ვარჯიში და სხვ... ასეთი მშობლები გასამართლებელ საბუთად ასახელებენ ბავშვის ფიზიკურ სისუსტეს და ცდილობენ გაანთავისუფლონ იგი ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებიდან. ასეთი მოქმედებით ისინი ზიანს აყენებენ ბავშვის ჯანმრთელობას.

რა ზომებს უნდა მიმართავდეს მშობელი იმისათვის, რომ მისი შვილი იყოს ჯანსაღი?

პირველ რიგში მშობელი ყურადღებას უნდა აქცევდეს ბავშვში შრომითი ჩვევების განვითარებას. ამას პირდაპირი კავშირი აქვს ბავშვის ფიზიკურ განვითარებასთან.

საწარმოო-შრომითი ჩვევების განვითარების მიზნით მშობელმა უნდა შეაჩვიოს ბავშვი სხვადასხვა ნივთების შეკეთებას, ბოსტნის გაშენებას და ა. შ. ფიზიკური შრომა ძირითადად სუფთა ჰაერზე უნდა სწარმოებდეს და შეფარდებული იყოს ბავშვის ფიზიკურ შესაძლებლობასთან. იგი არ უნდა აღემატებოდეს 20—40 წუთს, 10—15 წუთიანი შესვენებით.

ჰიგიენური წესების დაცვა ბავშვთა ფიზიკური განვითარების მეორე მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. სანიმუშო სისუფთავე უნდა იყოს ბინაში, ბავშვის მუდმივ სათამაშო ადგილზე, ეზოში, სადაც ბავშვი გარკვეულ დროს ატარებს. ეს, გარდა იმისა, რომ აუცილებელია ბავშვის ჯანმრთელობისათვის, ამავე დროს მას სისუფთავისადმი მიდრეკილებას უმუშავებს.

მეტად სასარგებლოა ყოველ დილით სველი ტილოთი ტანის დაზელვა და წყლის გადავლება. ამ შემთხვევაში ექიმის რჩევა აუცილებელია, რადგან დაზელვა ზოგჯერ საწინააღმდეგო შედეგს იძლევა. უმჯობესია ამ პროცედურის ჩატარება დილის ტანვარჯიშის შემდეგ. პროცედურა ზუსტად და რეგულარულად უნდა შესრულდეს, წყლის დადგენილი ტემპერატურის დაცვით.

ასევე სასარგებლოა ჰაერისა და მზის აბაზანები. სავალდებულო არ არის ჰაერის აბაზანა წოლით მდგომარეობაში ტარდებოდეს. იგი შეიძლება მიღებულ იქნას სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშის, მოძრავი თამაშის, კითხვის პროცესში, ამასთან ჰაერის ტემპერატურა არ უნდა იყოს 15 გრადუსზე დაბალი. ზოგიერთი მშობელი მეორე უკიდურესობამდე მიდის: ბავშვს ყინვაში ურჩევს მიიღოს ჰაერის აბაზანები. ეს მეტად სახიფათო ცდაა. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის ორგანიზმი გაცილებით სწრაფად კარგავს სითბოს, ვიდრე მოზრდილისა.

რაც შეეხება მზის აბაზანებს, ბავშვისათვის ის მხოლოდ მაშინაა სასარგებლო, თუ არ გადაჭარბებთ. შიშველი ტანით მზეზე ზედმეტად ყოფნა იწვევს დამწვრობას და აქედან ნერვიული სისტემის გაღიზიანებას, მადის დაკარგვას და სხვ. მზის აბაზანების მიღება ყველაზე უკეთესია ჭამის წინ 40—50 წუთით ადრე და საათნახევრის შემდეგ ჭამიდან. მზის აბაზანის მიღების ძირითადი წესი ასეთია: 1. პირველ ხანებში ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს, შემდეგ 7 წლის ასაკამდე ბავშვისათვის შეიძლება გაიზარდოს 15 წუთამდე, უფროსი ასაკის ბავშვისათვის კი—30 წუთამდე, 2. ბავშვი უნდა დაწვეს ისე, რომ თავი ჰქონდეს ფეხებზე ოდნავ ზევით და თეთრი ნაჭრით დაფარული. 3. თანმიმდევრულად მიუქციოს მზეს ჯერ მკერდი და მუცელი, შემდეგ გვერდი, ზურგი და მეორე გვერდი. ეს ბრუნვა უნდა ხდებოდეს ყოველ 3—5 წუთში ერთხელ (პირველ ხანებში ყოველ წუთში ერთხელ).

ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაში სისტემად უნდა იქცეს აგრეთვე დილის ტანვარჯიში. ვარჯიშთა კომპლექსი სხვადასხვა ასაკის ბავშვისათვის სხვადასხვაა (ვარჯიშთა ცალკეული კომპლექსების აღწერა მოცემულ სტატიაში შეუძლებელია, დაინტერესებულ მშობელს ყველგან შეუძლია მონახოს ლიტერატურა ამ საკითხზე). ბავშვებს 4 წლამდე ჯერ კიდევ არ შეუძლიათ კომპლექსით გათვალისწინებული ვარჯიშების შესრულება. მათი ვარჯიშები ძირითადად იმიტაციურ ხასიათს უნდა ატარებდეს. მათ დაახლოებით ასეთი დავალებები უნდა მიეცეს: «აბა, იარე ხელებგაშლილი, თვითმფრინავივით», «მოიკუნტე შეშინებული კურდღელივით», «იხტუნე ბეღურასავით», და ასე შემდეგ. ურიგო არ იქნება თუ სკოლის ასაკის ბავშვი გაკვეთილების მომზადების შუალედებში აქტიური დასვენების მიზნით გამოიყენებს დილის ტანვარჯიშის ზოგიერთ სახეს.

ყველაზე მეტად ბავშვებს იტაცებთ მოძრავი თამაშობანი: დაჭერობანა, კატა-თაგვობანა, ბურთაობა და სხვ. აქ განსაკუთრებით სავალდებულოა მშობლების ჩარევა, რათა ბავშვი ფიზიკურად არ გადაიღალოს, რაც მთავარია, თამაშს არ მიეცეს უხეში ხასიათი, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე.

ეს მოვალეობა რომ შეასრულოს, მშობელი პირველ რიგში თვით უნდა ერკვეოდეს ბავშვის ფიზიკური აღზრდის ელემენტარულ საკითხებში, ესმოდეს მოძრავი თამაშობების მნიშვნელობა, მიუთითოს ბავშვს ვარჯიშის გამოყენების გეგმაზომიერებაზე. ამით მშობელი თავიდანვე ჩაუნერგავს მას სპორტის სიყვარულს, ეს კი იმის საწინდარი იქნება, რომ იგი არც ასაკში შესვლისას შეწყვეტს სასარგებლო ვარჯიშს.

ამ კეთილშობილური მოქმედებით ყოველი მშობელი სკოლასთან ერთად თავის წვლილს შეიტანს ჯანსაღი, კუნთმაგარი თაობის აღზრდის საქმეში.

**ა. ცაბაძე,**

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპეციალური ფიზიკური განვითარების ფაკულტეტის დეკანი.

ფოტო ა. სუსუნიკაშვილის



დილის გამამხნევებელი ვარჯიში



სტარტზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კროსვორდი

**ჰორიზონტალურად**—3. ცნობილი საბჭოთ. კინომსახიობი ქალი. 6. დიდი ფრანგი მწერალი, სატირიკოსი. 7. გერმანელი ფილოსოფოსი. 8. მდინარის განშტოება შესართავთან. 9. ქალაქი ინდოეთში. 14. ძვირფასი თვალი. 15. მდინარე ესპანეთში. 17. განთიადი. 20. მდინარე ჩრდილოეთ კავკასიაში. 21. ცნობილი საბჭოთა ილუზიონისტი. 23. ბოროტი. 24. ყვავილოვანი მცენარე. 26. ლევ ტოლსტოის ერთ-ერთი რომანის გმირი. 27. რიცხვი. 29. კურკოვანი ხილი. 31. მდინარე საბჭოთა კავშირში.· 32. ნიკო ლომოურის მოთხრობა. 33. ნავსადგური ბაბელმანდების სრუტეში. 35. მდინარე ინდოეთში. 37. ატმოსფერული ნალექი. 40. ცნობილი ინდოელი სახელმწიფო მოღვაწე. 41. საბჭოთა გროსმაისტერი, 43, დიდი იტალიელი პოეტი. 45. კალმანის ოპერეტა. 46. კუნძული წყნარ ოკეანეში. 47. გემის ნაწილი.

**ვერტიკალურად** — 1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. 2. მამაკაცის სახელი. 4. სახელგანთქმული პოლონელი კომპოზიტორი. 5. სახელმწიფო ევროპაში. 10. ძველი მუსიკალური საკრავი. 11. ნიავი. 12. ნაპოლეონის მარშალი. 13. სახელმწიფო აზიაში. 16. აბატ პრევოს რომანის გმირი. 18. მაღლობი. 19. დიდი ჭკუის ადამიანი. 22. ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი. 23. ჯ. ვერდის ოპერა. 25. შორისდებული. 27. ვულკანი იტალიაში. 28. ცნობილი ინგლისელი კინომსახიობი ქალი. 30. ცივი იარაღი. 34. ჩ. დიკენსის რომანის „დავით კოპერფილდის" გმირი. 36. ქალის სახელი. 37. თბილისის მუსკომედიის თეატრის დადგმა. 38. მიმდინარეობა ფილოსოფიაში. 39. რაიონული ცენტრი საქართველოში. 42. ა. სუმბათაშვილის პიესის „ღალატის" გმირი. 44. ატმოსფერული ნალექი.

---

**გარეკანზე — ყვავილების**

**დღესასწაული თბილისში.**

მხატვარი **ლ. შენგელია**

## სასარგებლო რჩევა

რძეში ადუღებამდე უნდა ჩაყაროთ შაქარი (ერთ ლიტრზე ნახევარი სუფრის კოვზი) და ადუღების შემდეგ გააცივოთ თავლიად. ასეთი რძე დიდხანს არ ამჟავდება.

თუ გსურთ ძროხის, ცხვრისა და ღორის ქონს მიეცეს ერბოს გემო, დაჭერით ქონი წვრილ-წვრილ ნაჭრებად, ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით იმდენი რძე, რომ ქონი დაიფაროს და დადგით ცეცხლზე, როცა რძე ადუღდება, გაწურეთ. მიღებული ქონი შეინახეთ გრილ ადგილას.

კარტოფილი კარგად შეიწვება და გემრიელი გამოვა თუ შეწვამდე რამდენიმე წუთით ჩაჰყრით ცხელ წყალში და ტაფაზე მოთავსებამდე შეაშრობთ.

წვრილად დაჭრილი ხახვი ტაფაზე რომ არ მიიწვას და თანაბრად ჩაიშუშოს, შეწვამდე ამოსვარეთ ფქვილში.

მურაბის ქილას თავი უნდა მოუკრათ დასველებული თოკით, რომ ხელში არ ისრიალოს. გაშრობის შემდეგ კი თოკი შეიკუმშება, ქილის თავს მაგრად მიეკვრება და ქილაში ჰაერი აღარ შევა ამგვარად თავმოკრული მურაბა დიდხანს ინახება

გახამებული ქსოვილი, რომ უთოს არ მიეკრას, სახამებელს ნიშადურის რამდენიმე წვეთი უნდა შეურიოთ.

ჭილის ნაკეთობახი უნდა გაიწმინდოს დასველებული ჯაგრისით. ეს მას სითეთრეს უბრუნებს.

ქსოვილის აბაჟური ჯერ რბილი ჯაგრისით გაწმინდეთ მტვრისაგან. შემდეგ გასაპნეთ ფრჩხილების საწმენდი მაგარი ჯაგრისით და თბილი წყლით სწრაფად და ფრთხილად წაუსვით აბაჟურს ისე, რომ ძალიან არ ჩამოიწუწოს, და მაშინვე გაწმინდეთ სუფთა თეთრი ნაჭრით.

გარეცხვის შემდეგ ნაქსოვი კოფთა ფრთხილად გაწურეთ ხელით, გადაუგრეხავად (თუ გსურთ გადიდდეს, მაშინ ნუ გაწურავთ). ჩამოჰკიდეთ პირსახოცით სარეცხის თოკზე და მიამაგრეთ თეთრეულის სარჭებით. როცა წყალი ჩამოწდება, მშრალ ზეწარში გაახვიეთ და მრგვალი ჯოხით (ტაბუცით) კიდევ შეაშრეთ. საბოლოოდ გასაშრობად დადეთ ისეთი ზომის სპეციალურ საშრობ ფიცარზე, რომ სიგრძითაც და განითაც თავისუფლად მოთავსდეს.



საოჯახო სამუშაო ბევრს, ერთი შეხედვით, არც თუ ისე მძიმე ჰგონია. თქვენ სუფთა ტანსაცმელი და თეთრეული გაქვთ, ოთახში სისუფთავეა, ჭურჭელი თეთრად კრიალებს, სუფრაზე მოგართმევენ გემრიელ და მადისმომგვრელად შემზადებულ კერძებს. ყველა ამის გაკეთებას ასწრებს დიასახლისის მარდი ხელები. მას «თანამდებობით» კიდევ ბევრი სხვა მოვალეობა აქვს: ბავშვების აღზრდა, სურსათის ყიდვა, კერვა, ქსოვა... დიასახლისის საქმეებს ვინ მოთვლის.

მაგრამ დიასახლისი ავტომატი როდია. მას დასვენებაც სჭირდება, საინტერესო წიგნის წაკითხვა, თეატრში, კინოში სიარულიც. მაგრამ დიასახლისების უმრავლესობას ამაზე «ხელი არ მიუწვდება».

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გარიჟრაჟზე წერდა, რომ თვითეული სახლის ელექტროგანათება და ელექტროგათბობა მილიონობით ოჯახის მონას იხსნის მყრალ სამზარეულოში სიცოცხლის სამი მეოთხედის გატარების აუცილებლობისაგანო. მას შემდეგ არც თუ ისე დიდი დრო გავიდა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ასობით მძლავრი ელექტროსადგური აიგო. დიასახლისებს გაუჩნდათ საიმედო თანაშემწეები: მტვერსასრუტი და იატაკმწმენდი, სარეცხი და საშრობი, ელექტრო სწრაფლმხარშავი და მრავალი სხვა სახის ელექტრომანქანები და მოწყობილობანი.

### უჭვარტლო ქურა

სამზარეულოში თეთრი მინანქრით ელვარებს ქურა. როცა მასზე სადილს ამზადებ, ქვაბები სუფთაა; ქურაზე კომფორები და ჰაერღუმელი ელექტრობით ხურდება. თქვენ სადილს ამზადებთ და სავალდებულო არცაა ქურასთან იდგეთ. სპეციალური ხელსაწყო—დროის რელესაათის მექანიზმი ზუსტად თქვენს მიერ განსაზღვრულ დროსთვის გამორთავს კომფორს, ხოლო ელექტროზარი გაცნობებთ, რომ სადილი მზადაა.

ქურის ჩართვის დროს სასიგნალო ნათურები ინთება. თუ კომფორიდან ქვაბს გადმოდგამთ, ნათურა აინთება და შეგახსენებთ, რომ დენის გამორთვა არ დაგავიწყდეთ.

რედაქტორი თეო აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/V-59 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფორმათა რაოდენობა 3,5.

რედაქციის მისამართი. სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 25.000. ფასი 3 მან.
შეკვეთის № 511. უე 02461.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали".
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელექტროთანაშემწეები ოჯახში

გაზის ქურასთან შედარებით ელექტროქურა არა მარტო ჰიგიენურია, იგი გაცილებით სწრაფადაც ამზადებს საჭმელს, განსაზღვრულ დროში, არ მიიწვება, უფრო გემრიელი და ნოყიერია, რადგან საჭმელი მეტად ინარჩუნებს ვიტამინებს და ორგანიზმისთვის სასარგებლო სხვა ნივთიერებებს.

ჩვენში ამჟამად ფართოდაა გავრცელებული გაზის ქურები. მაგრამ გაცილებით ეკონომიურია გაზის წვა ელექტროქურის ღუმელში. შორს არაა ის დრო, როცა სამზარეულოში გაზის ადგილს ელექტროქურა დაიკავებს, ბინებში გაქრება ჭვარტლი და, რაც მთავარია, ადამიანის ორგანიზმი არ მოიწამლება გაზის არა სრული წვის პროდუქტებით. საჭმლის მომზადების ავტომატიზაცია კი შეამსუბუქებს დიასახლისის შრომას,

მოსკოვში ერთერთი რაიონის არქიტექტორები უკვე მუშაობენ საცხოვრებელი სახლის პროექტზე, სადაც სამზარეულოები და შხაპის ოთახები მხოლოდ ელექტროქურებით, ელექტროხელსაწყოებითა და მანქანებით იქნება მოწყობილი.

## თეთრეულს აშრობს მანქანა

დიდ ქალაქში სარეცხის გაშრობა მთელი პრობლემაა. ზოგიერთები სარეცხს სამზარეულოში ფენენ, ხოლო უმრავლესობა — ეზოში. განსაკუთრებით ძნელია თეთრეულის გაშრობა ზამთარში.

ბევრმა ქალმა კარგად იცის რამდენ დროს და შრომას მოითხოვს ეს სამუშაო. მისი შესრულება კი ადვილად შეუძლია მექანიკურ თანაშემწეებს.



ზოგიერთ სარეცხ მანქანას აქვს თეთრეულის გასაწური და გასაშრობი მოწყობილობა, გარდა ამისა, მრეწველობა უშვებს სწრაფმბრუნავ ცენტრიფუგებს, რომელშიც დიდი სისწრაფით ბრუნავს ბორბალი და თეთრეულს თითქმის მთელი წყალი შორდება. ასეთი თეთრეული მაშინვე შეიძლება დაუთოვდეს.

## მტვერსასრუტი «მალიუტკა»

ჩვენს წინ დევს პატარა ჯაგრისი მოქნილი მავთულით. მავთულის ბოლოზე შტეპსელის ჩანგალია. ესაა მტვერსასრუტი «მალიუტკა». მას ვრთავთ შტეპსელის როზეტში, შემდეგ ოდნავ გავატარებთ კოსტუმზე და მაშინვე ბუსუსების და მტვერს სულ ჯაგრისი შეიწოვს.

ასეთი მტვერსასრუტი მარტო ტანსაცმელს და ხალიჩებს როდი წმენდს, შეიძლება წიგნების, რადიომიმღების, მსუბუქი მანქანის ძარის გასუფთავებაც. ასეთ შემთხვევაში ჯაგრისის მაგიერ გამოიყენება სპეციალური მოწყობილობა.

## ელექტროდარაჯები

თქვენ შემთხვევით შეაერთეთ ელექტროქსელის მავთულები. მაშინვე გაგიელვებთ აზრი: «შეიძლება ხანძარი გაჩნდეს». მაგრამ, არა, დაგეხმარებათ ავტომატური კორპი. სითბოს რელემ გათიშა წრედი... ცეცხლის გაჩენის შესაძლებლობა თავიდან აცილებულია, შემდეგ საკმარისია ხელი დააჭიროთ ავტომატურ კორპის კნოპს და ნათურები ისევ აინთება.

თქვენ გსურთ ხვალ დილით 7 საათსა და 45 წუთზე ადგეთ. ამ დროსთვის ჩაი მზად უნდა იყვეს და ზარმა შეგატყობინოთ. ამ მოვალეობას ზუსტად შეასრულებს ავტომატი. ავტომატური ელექტროყავადანი შეიძლება ჩართოთ და საუზმისათვის მზად იქნება სურნელოვანი სასმელი.

წიგნი ხელიდან გაგივარდათ, თქვენ ჩაგეძინათ და ვინმემ უნდა ჩააქროს სინათლე. ეს წინასწარ დაავალეთ ავტომატს. დაწოლის წინ ამომრთველი განსაზღვრულ საათზე დააყენეთ და მშვიდად იყავით: სინათლე თავისით ჩაქრება,

დიასახლისს ბევრ უსიამოვნებას აყენებს ძლიერ გავარვარებული უთო, მაგრამ უთო ავტომატური რეგულატორით არასოდეს გადაიწვება და არც ქსოვილს დააზიანებს.

## მინა გამოასხივებს სითბოს

ოთახში კედელზე მიმაგრებულია მინა ლითონის ჩარჩოთი. მინა ჩვეულებრივია, თქვენს



ყურადღებას არაფრით არ მიიქცევს, მაგრამ როცა მასთან ახლოს მიხვალთ, ჰაერის თბილ ნაკადს შეიგრძნობთ. ეს ახალი ელექტრული ღუმელია, — გვიხსნის ოთახის პატრონი, — ხედავთ, არაფერი ხურდება, მაგრამ სითბო გამოსხივდება.

აღმოჩნდა, რომ მინა დაფარულია ელექტრონის გამტარი მეტალიზირებული ნივთიერების თხელი, გამჭვირვალე ფენით. მასში გამავალი ელექტროდენი ათბობს მინას

შეიძლება ელექტროგამტარი ფენა გაუმჭვირვალი გავხადოთ. მაშინ ის სითბოს ისე აირეკლავს, როგორც რეფლექტორი.

ასე შეიძლება მოვაწყოთ სარკე საშხაპო ოთახში. მაშინ ის აღარ დაიორთქლება

## ცხელი წყალი წყალსადენის ონკანიდან

წყალსადენის ონკანს მოვარგებთ ჩაის ჭიქაზე ოდნავ დიდი ზომის პლასტმასის ცილინდრს ეს პატარა ელექტროწყალგამთბობია. მასზე მიმაგრებულ ზონარს ჩავრთავთ შტეპსელის როზეტში. ვაბრუნებთ ონკანს და წყალსადენიდან იღვრება თბილი ან ცხელი წყალი იგი ხურდება ელექტრული ელემენტით, რომელიც პლასტმასის ცილინდრშია მოთავსებული. ცხელი წყალი აუცილებელია ჭურჭლის გასარეცხად.

ასეთი მოწყობილობა ძალზე მოხერხებულია შხაპისთვისაც. მალე სააბაზანო ოთახებში საჭირო აღარ იქნება გაზით სათბობი ვეებერთელა ქვაბები.

„ტეხნიკა მოლოდეჟი", № 8, 1958 წ

6 34/139

